გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N9 (9225) 31 მარტი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

## მიცემული პირობის შესრულება დაიწყო

3



## ვიზა-ლიბერალიზაცია – ახალი ფურცელი საქართველოს ისტორიაში




5

გზა მშვიდობისა!

## გამწვანების სამუშაოები გააქტიურდა

## დაგვიანებული წერილი ჟურნალისტური ლირიულობით



7

## მერაბისთანა და ზვიადისთანა გმირები საუკუნეში ერთხელ იბადებიან

## დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი



6

## ერთ კარგ სიმღერად ნამღერი ფრაზებით მოტანილი სიმართლე

9

ლიდერი საწარმო და საპატიო წოდება _ “მედიცინის სიამაყე”

## “განათლება ჩემთვის პრიორიტეტულია”

## “ჩვენ ვაპირებთ თვითმმართველობის არჩევნების მოგებას”



## რიგგარეშე სხდომამ რიგის მიხედვით 13 საკითხი განიხილა

24 მარტი.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სოფელ ღანირში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის **თამაზ (თომა) გაბელაიას** ხსოვნას.

''საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროექტში ''სოფლის ექიმი'' მონაწილე ექიმისათვის, ფიზიკური პირებისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებიდან ფართების უზურფუქტის ფორმით 2 წლით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემა'';

''ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის განკარგულებაში ცვლილების შეტანა... ეს და კიდევ თერთმეტი სხვა საკითხი განიხილეს რიგგარეშე სხდომაზე. ყველა საკითხზე მომხსენებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მერაბ უღრელიძე გახლდათ.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

***ლევან გაბეჩავა***

# ''ქეა'' კვლავ თანამშრომლობის შეთავაზებით

**ნინო ნანიტაშვილი**

წინა კვირა მძიმე იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის: 20 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა ღანირის თემში გამგებლის წარმომადგენელი. თამაზ გაბელაიას ხსოვნას 27 მარტის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

2015 წლიდან ''ქეა'' საერთაშორისო სამხრეთ კავკასიაში, ''ქეა'' ჩეხეთთან თანამშრომლობით და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს ''საქართველოში მცხოვრები შშმ ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა''. პროექტი ხორციელდება დასავლეთ საქართველოს სამ: სამტრედიის, სენაკის და აბაშის მუნიციპალიტეტში. ამ ინფორმაციითა და მომავალში კვლავ თანამშრომლობის შეთავაზებით 27 მარტის ტრადიციულ თათბირზე პროექტის კოორდინატორი გამოვიდა. თეონა მაქაცარიამ პროექტის მთავარ მიზანზე _ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის ხელშეწყობაზე გაამახვილა აუდიტორიის ყურადღება:

''ჩვენი საგრანტო თანხა 10 000 დოლარია, ექვივალენტი ლარში. წელსაც ვაცხადებთ ბიზნეს იდეების კონკურსს, შემდეგ ვარჩევთ საუკეთესო ბიზნეს იდეებს. მე-2 ეტაპია ბიზნეს გეგმების კონკურსი. ბიზნეს გეგმების კონკურსიდან შერჩეული აპლიკანტები ფინანსდებიან. მე მჭირდება თქვენი რეკომენდაციები, როგორ მივიდე ამ შშმ ქალებამდე. იქნებ მიდგომები უნდა შევცვალო. როგორ ფიქრობთ, რამდენად იმუშავებს მსგავსი პროექტები თქვენს სოფლებში. მე დღეს თქვენგან ყოველივე ამაზე მინდა მცირე რეკომენდაციები, როგორ გავაუმჯობესო ამ ქალებთან მუშაობა''.

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: ''შარშან, ჩვენს რაიონში რამდენიმე პროექტი დაიდო და მხოლოდ ერთი გახდა გამარჯვებული, სამკერვალო, რომელიც ორიენტირებულია შშმ ქალბატონებზე''.

რა სარგებლობა და რა ზიანი მოაქვს ''აზიური ფაროსანას'' წინააღმდეგ შეწამვლის პროცესს, ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ტარიელ ოჩხიკიძემ.

ტარიელ ოჩხიკიძე: ''მეფუტკრეები არიან ამ შეწამვლაზე ძალიან აგრესიულები. ხმა მივაწვდინოთ ხალხს, შეიძლება არ დასჭირდეთ შეწამვლა, რადგან ძალიან მკაცრი ზამთარი გვქონდა. რაც სახლებში იყო შესული, ის მავნებლები გარეთ კი გამოვა, მაგრამ მინდორში რომელიც აპირებდა გამოზამთრებას, იმედია, 80 პროცენტი, ვერ გამოიზამთრებს, დაღუპულია. გადარჩენილები, შეიძლება, სხვადასხვა გზით გავუნებელყოთ''.

წელს სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის უფასოდ დახვნის პროცესი შეჩერებულია. გლეხობას საკუთარი სახსრებით მოუწევს საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარება. არის თუ არა ტექნიკა მზადყოფნაში, ამის გასარკვევად ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სპეციალურად მოიწვიეს შპს ''მექანიზატორიდან'' წარმომადგენელი, გია გიორგაძე: ''დახვნა, დისკი, ფარცხი, დათესვა _ ჯამში 320 ლარი დაჯდება, რასაც დაემატება გზის ხარჯი ერთ კილომეტრზე ერთი ლარი''.





# გამწვანების სამუშაოები გააქტიურდა

**ნათია ნაცვლიშვილი**





შინმოუსვლელთა მემორიალური კომპლექსის ტერიტორიაზე კომპლექსურ სამუშაოებს ატარებს პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანება. ადგილზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და რამდენიმე სამსახურის უფროსი. ისინი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ. ამ ადგილას მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ძველი ხის აივანი ახალი რკინის აივნით იცვლება. ამის პარალელურად მიმდებარე ტერიტორიაზე ირგვება ბუჩქოვანი მცენარეები, ლამაზდება ტროტუარები, მიმდინარეობს ბეტონის ნარჩენებისაგან გაზონების გაწმენდა. ერთ მზიან დღეს ''სამტრედიის მაცნეს'' მეგზურობა პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის კეთილმოწყობის და სანერგე მეურნეობის გაერთიანების დირექტორმა ელგუჯა კალაძემ, დირექტორის მოადგილეებმა დავით ნინუამ და ალექსანდრე ჭანტურიამ გაუწიეს.

ზვიად გამსახურდიას მოედანზე არსებულ სკვერში დაირგო უნიკალური ჯიშის ღვიის ხე, ნერგი დენდროლოგიური პარკიდან წამოიღეს. ე. წ. პოლიციის შენობის სკვერში კი მიმდინარეობს ბუჩქოვანი მცენარეების გასხვლა.

ვალერიანე ფოცხვერია: ''საცხოვრებელი კორპუსის აივნის ძველი ხის რიკულები იცვლება ახალი რკინის რიკულებით, დიდი ხანია გვინდოდა ამის გაკეთება და საქმე სისრულეში მოგვყავს. კეთილმოწყობის სამსახური უდგას სათავეში ამ საქმეს.''

ელგუჯა კალაძე ''გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაავალა, შევცვალოთ ეს ძველი აივანი ახლით. ეს აზიანებდა ამ კომპლექსის იერ-სახეს, ვცვლით მოაჯირებს, მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. ხედავთ, როგორ ლამაზდება გარემო. ე. წ. პოლიციის შენობის სკვერში მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოების შესრულება, ხდება იმ ხებუჩქების ფორმირება, რომლებიც წლების განმავლობაში იზრდებოდა ყოველგვარი ფორმის შეცვლის გარეშე, გვსურს, იყოს დეკორატიულად ლამაზი. მომავალში დაგეგმილია ისტორიული ფანტანის აღდგენა, აქ არსებული პლასტმასის პალმის ადგილას. ამას ვაპირებთ გამგებელთან შეთანხმებით. ცოტა ხანში თავადვე ნახავთ, რომ აქ ახალი მოსასვენებელი სკამები დაიდგმება. ძალიან ლამაზი იერ-სახე ექნება ამ ცენტრალურ ადგილს ჩვენს მუნიციპალიტეტში.''

# ავტოსაგზაო შემთხვევას ჯაცი ემსხვერპლა



ვინ იცის მერამდენე...

ახალი წლის პირველ დღეებში შემაშფოთებელი სტატისტიკა გამოქვეყნდა 2016 წელს საქართველოში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ, თუმცა, ამის შემდეგ არსებითად არაფერი შეცვლილა. წინა წლებშიც არაერთხელ დაგვიწერია გახშირებულ, მსხვერპლით დასრულებულ ავტოსაგზაო შემთხვევებზე, მაგრამ...

ყოველ დილით საინფორმაციო საშუალებები ახალი მსხვერპლის შესახებ იუწყებიან...

პოზიცია-ოპოზიციასთან დიდი ბოდიში, მაგრამ...

პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა ნანატრი ვაჟიშვილის დაბადებასავით რომ გვიხარია და კვირიდან კვირამდე საუბრის, განსჯის, ბჭობის საგანია, მივლენ თუ არა პრეზიდენტის დაძახილზე მთავრობის წევრები, საკრებულოს დაძახილზე ქალაქ თბილისის მერი და ა. შ. ჯობს, კანონი ისე გამკაცრდეს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ავტოსაგზაო შემთხვევებისა და შესაბამისად მსხვერპლთა რაოდენობა.

რა თქმა უნდა, მტყუან-მართლის დადგენით უნდა მოხდეს ყოველივე.

ამაზრზენი იყო ჩემის აზრით ამას წინათ ''იმედის'' ეთერში პოზიცია-ოპოზიციის პაექრობა და პოლიტიკურ ჭრილში განხილვა იმისა, თუ როდის რამდენი ადამიანი იღუპებოდა ავარიით და გვისწრებენ თუ არა?! ამ კუთხით ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი?!

ასე, რომ შარშან, იმის წინ, კიდევ იქეთ... ერთი საშუალო (მცხოვრებთა მიხედვით) სოფელი _ დასახლებული პუნქტი დაგვიკარგავს. მიხვდება უთუოდ მკითხველი რასაც ვამბობთ, საქართველოს პირობებში 600-700 კაციანი სოფლები დიდ სოფლებადაა მიჩნეული, ასე, რომ...

არ გვეთანხმებით?

***ლევან გაბეჩავა***

# მიცემული პირობის შესრულება დაიწყო

ქეთევან ქელიძე

***მაჟორიტარი დეპუტატის, გია მიქელაძის განმარტებით, იგი "საუკუნის პროექტია". ამგვარ შეფასებას გაზვიადებად არავინ ჩათვლის, ვისაც ერთხელ მაინც კი უნახავს, ბაშელებს წალეკვით როგორ ემუქრებოდა ვარციხეჰესის მე-4 კასკადის არხიდან გადმოსული წყალი, როგორ ანადგურებდა სავარგულებს, აზიანებდა სახლებს, უკლავდა შინაურ ცხოველებსა თუ ფრინველებს, როგორ ახდენდა გარემოსგან მათ იზოლირებას. ათეულობით წლის მანძილზე ბევრი დაპირება მოუსმენია სოფლის მოსახლეობას, მოუგიათ სასამართლო პროცესები, მაგრამ საქმე წინ ვერ წაწეულა. ამჯერად მაჟორიტარმა დეპუტატმა წინასაარჩევნოდ მიცემული პირობა შეასრულა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად საკითხის რეალურად გადაწყვეტას შეუდგა. ქართულ-ამერიკულმა კომპანიამ, "ჯორჯიან-ამერიქან ელოიზმა", რომლის მფლობელობაშიც ვარციხეჰესია, წყალსაწრეტი არხის გასაფართოებლად თანხები გამოჰყო. რამდენიმე დღეა, აქ უკვე სამუშაოები მიმდინარეობს.***







კონკრეტულად რა და როგორ კეთდება, ამის გასარკვევად სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები ბაშში ჩავიდნენ. გია მიქელაძე ვარციხეჰესის ხელმძღვანელებთან ერთად მათ უკვე იქ დახვდათ. მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილებმა საკმაოდ დიდ მანძილზე გზა ფეხითაც გაიარეს და დაწვრილებით გაეცნენ იმ წინააღმდეგობებს, რაც აქაურ გურგენიძეებსა და კაშიებს ექმნებათ. კონკრეტულად არხის გაფართოებას მათი კუთვნილი მიწების გარკვეული ნაწილი ეწირება. სავარაუდოდ, ე. წ. კუთვნილი მიწა გასხვისების ზოლში მდებარეობს და სრულებითაც არ არის კუთვნილი. მფლობელების განმარტებით, ეს მათთვის დღემდე უცნობი ფაქტი იყო და მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში თავს დაზარალებულად ცნობენ.

"გავერკვევით, რამდენად კანონიერად ფლობენ ეს პირები ამ მიწას. არა მგონია, პროექტში იგი კერძო საკუთრებად იყოს დაფიქსირებული. თუ ასე იქნება, შევეცდებით, ალტერნატიული ნაკვეთებით დავაკმაყოფილოთ ისინი. ჩვენი მიზანია, ერთი მოსახლეც არ დაიჩაგროს. თუმცა, სოფლის საქმე კეთდება და არ შეიძლება, ხელი შევუშალოთ". _ ამბობს ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია.

მაჟორიტარი დეპუტატიც თვლის, რომ ამ ადამიანებს მიწის ნაკვეთები არაკანონიერ მფლობელობაში აქვთ. იმედს იტოვებს, რომ ვარციხეჰესის ხელმძღვანელობა კეთილ ნებას გამოიჩენს და ზარალს გარკვეული კომპენსაციით აუნაზღაურებთ.

რაც შეეხება წყალსაწრეტ არხს, იგი 3700 მეტრ სიგრძეზე გაფართოვდება და განში დამატებით 9 მეტრს მოიმატებს.

"წლების განმავლობაში ვაკვირდებოდით სიტუაციას. რამდენჯერმე მოვახდინეთ არხის დასუფთავებაც, მაგრამ უკანასკნელმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ ეს საკმარისი არ იყო. საკითხი დავსვით ჩვენი ხელმძღვანელობის, "ჯორჯიან ამერიქან ელოიზის" წინაშე და დადებითი პასუხი მივიღეთ. საკმაო მოცულობითი სამუშაოები ტარდება. პირველი ეტაპი, ალბათ, 4-5 თვე გაგრძელდება. ამისთვის კომპანიამ 250 ათასი ლარი გამოჰყო. ვიმედოვნებთ, დაფინანსება დროულად მოხდება და მეორე ეტაპის სამუშაოებიც არ დააყოვნებს. _ გვითხრა ვარციხეჰესის გენერალურმა დირექტორმა ზაზა უფლისაშვილმა.

სამუშაოების ეტაპებად განაწილება მიუღებელი აღმოჩნდა მაჟორიტარ გია მიქელაძისთვის. მისი დაჩქარების მიზნით, დამატებითი ტექნიკის შემოყვანა კომპანიას მიანდო, ხოლო თანხის შეუფერხებელი გადმორიცხვა თვითონ ითავა.

"ყველა ძალას ვიხმარ, მეორე ეტაპის სამუშაოები დაჩქარდეს. დღეს აქ ხიდის გაფართოების საკითხიც დაისვა. აუცილებელია მისი გაფართოება. არა პირველი, მეორე და მესამე ეტაპები, არამედ იქნება სამუშაოების ერთი მთლიანი ეტაპი. როცა ეს არხი გასუფთავდება, გაფართოვდება, თავიდან ბოლომდე მოწესრიგდება, სოფელი აღარ დაიტბორება. მაშინ მოსახლეობის წინაშე ჩვენი დანაპირებიც შესრულებული იქნება. ასე მივყვები ნელ-ნელა. 4 წლის განმავლობაში რაც უნდა მეკეთებინა, გაცილებით მეტს გავაკეთებ". _ გვარწმუნებს ბატონი გია მიქელაძე.

იქვე ჩვენს კოლეგას გომელებისთვის მიცემული პირობა გაუმეორა: დაგპირდით, მდინარე ყუმურულას კალაპოტს გავაფართოვებ-თქო და წელს ასეც ვიზამ.

მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილებას ვერც გამგებლის წარმომადგენელი ბაშში, რამაზ კაშია მალავდა: "როგორც ბატონმა გიამ თქვა, მართლა საუკუნის პროექტია, გრანდიოზული რამ კეთდება. ამას სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ყოველ წელს ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც იტბორება წყლით სოფელი. წინა ხელისუფლებებს ეს ფაქტი გულთან არასდროს მიჰქონდათ. ალბათ, ამიტომაც ვერ მოხერხდა ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა".

მერე ბატონ რომან ნუცუბიძეზე მიგვითითა გამგებლის წარმომადგენელმა და მის დამსახურებას გაუსვა ხაზი. ბატონი რომანი აფხაზეთიდან ჩამოვიდა და ორ ათეულ წელზე მეტია, ინსტანცია არ დაუტოვებია, ბაშელთა გასაჭირზე არ მიეწერა და ეთქვა.

"ეს არის სახელმწიფოს დანაშაული ჩვენი სოფლის წინაშე" _ ასე აფასებს აქამდე არსებულ სიტუაციას ბატონი რომანი. მას ჩვენი გაზეთისთვისაც მოუმართავს და მსჯელობის საგნადაც ბევრჯერ გვიქცევია ბაშელების გასაჭირი.

"რამდენჯერმე სიტყვიერადაც და წერილობითაც გავაფრთხილეთ მაშინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ბაშელების გარეშე არ გაყიდულიყო ჰესი. 2006 წლის დეკემბერში მაინც გაყიდეს. სააპელაციო სასამართლო მოვიგეთ, მაგრამ ჩვენი წილი, 302 ათასი ლარი არავინ გადაგვიხადა. სოფელში 600 კომლი ცხოვრობს და 273 ყოველწლიურად იტბორება. ბაშელები არც იმის ღირსნი არიან, ელექტროენერგიის ამხელა ღირებულებას იხდიდნენ. დაგვპირდნენ, გაგიუქმებთო, მაგრამ ისევ 17 თეთრს ვიხდით". _ გვიყვება ბატონი რომანი.

მაჟორიტარი დეპუტატი გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად იანეთშიც ჩავიდა. იმ ალტერნატიული გზის მშენებლობას მიადევნა თვალი, მისი მკაცრი მოთხოვნის საფუძველზე უცხოური კომპანიები რომ აწარმოებენ. საქმე უკრაინულ "ალტკომსა" და ჩინურ "სინოჰიდროს" ეხება, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე სოფლის საავტომობილო გზის გავლით ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალას.

გამგებლის მოადგილის, მამუკა თავაძის განმარტებით, ეს გზა მალე დასრულდება, მოიხრეშება და მძიმეწონიანი სატვირთო მანქანებიც მხოლოდ მასზე გაივლიან. იანეთლებს კი აღარც მტვერი და აღარც ხმაური დაურღვევთ სიმშვიდეს.

იანეთში კიდევ ერთი გზა მოინახულეს, არა სათადარიგო და სახელდახელოდ გაკეთებული, არამედ ისეთი, ევროსტანდარტებს რომ შეესაბამება. ამაზე უკეთესი, თორემ ნაკლები გზები სამტრედიაში არსად დაიგებაო, _ ამბობს პარლამენტარი და კომპანია "ნიუ როიდს" ხელობას უქებს. გზა, რომლის რეაბილიტაციასაც ეს კომპანია ეწევა, ეწრის თემში ბაძგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფელ იანეთის ცენტრალურ გზამდე მანძილს მოიცავს. ბატონმა გიამ გამგებელს იქვე მდგარ მოსაცდელზეც მიუთითა: კარგი იქნება, ესეც გარემონტდესო. გზის მწარმოებელს კი სთხოვა, რომ მიუხედავად იმისა, მოსაცდელის ირგვლივ მდებარე ტერიტორია პროექტში არ შედის, იქნებ, მოეასფალტებინათ, დაპირებაც მიიღო.

ბოლო გაჩერება ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტია. ყოფილი, რადგან თითქმის აღარაფერი შემორჩა იქიდან, რაც წლების განმავლობაში რუდუნებით შეუქმნიათ აქ. სამკურნალო თერმული წყლით, რომელზეც ლიცენზია ჰოლანდიურ კომპანია "იმერეთი გრინერს" აქვს, სამკურნალოდ არა, მაგრამ სათბურების გასათბობად კი გამოიყენება.

წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას ამჯერადაც შეეცადა მაჟორიტარი და როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან უკვე გაუწყეთ, რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად კომპანიის წარმომადგენლობას შეხვდა. გვარწმუნებენ, რომ ისინი შემხვედრ ნაბიჯზე წამოვლენ და სამტრედიელებს სამკურნალოდ წყლის აუთვისებელ რესურსს მიაწვდიან. მანამდე კი ჟურნალისტებსაც მოგვეცა საშუალება, კურორტის ტერიტორიაზე არსებული გაუქმებული სამედიცინო დაწესებულებაში მიმდინარე სამუშაოები დაგვეთვალიერებინა. იგი ბატონი გიას დაფინანსებითა და მეთვალყურეობით ახალ სიცოცხლეს იძენს. სამუშაოებს პაატა კიკაბიძე უძღვება. უკვე გარემონტდა შენობა, შემოყვანილ იქნა ცივი და ცხელი წყლისთვის ახალი მილები, მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა, ელექტროგაყვანილობა, შეიღება შენობის გარე ფასადი. სააბაზანო განყოფილებაში მწყობრში ჩადგა 9 აბაზანა. საჭიროების შემთხვევაში სხვა აბაზანებიც ამოქმედდება. ასევე, მოწესრიგდა შენობამდე მისასვლელი გზა. სამტრედიელებს კი მალე შეეძლებათ მკურნალობა. ჯერჯერობით თერმული წყალი ეზოში იღვრება.

"ჩემი სტილია ასეთი _ სიტყვას არასდროს ვღალატობ. დავპირდი სამტრედიელებს და ამ კურორტსაც ავამოქმედებ.

მართალია, კერძო საკუთრებაა, მაგრამ ჩანს, რომ იმ ადამიანს, ამ ეტაპზე საშუალებას არა აქვს. ვინ იცის, როდის შეძლებს მის აღდგენას, მე კი რადგან სამტრედიელებს დავპირდი, მას საკუთარი ფინანსებით ვარემონტებ".



## ქუთათურებს არ ეკადრებათ...

სავარდო და სამაისო ქუთაისი
იმერეთის დედაქალაქი,
საპარლამენტო დედაქალაქი...

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქალაქი ტრადიციული, ძველი ადათ-წესების დამცველი ხალხით, ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდებით.

20 მარტი.

დილიდან მზემ ამოანათა, მერე მოიღრუბლა ქუთაისში და კოკისპირულ წვიმას ძლიერი ქარიც დაერთო.

ქუთაისის კარგად ნაცნობ ქუჩებში ფეხით მოსიარულემ ლამის სული განვუტევე.

სახურავებიდან თუნუქის ფურცლები სცვიოდა, ქუჩებში წყალი, გუბე, ტალახი... ერთი სიტყვით, გაუვალ ჭაობს დაემსგავსა ქალაქის არა განაპირა, არამედ ცენტრალური (ასათიანის, ნაწილი ჩეჩელაშვილის) ქუჩები. ცენტრალურ ავტოსადგურში კი ისეთი ამბავი იყო...

ერთი სიტყვით, არ მეგულება დღევანდელ საქართველოში მსგავსი ვითარება კიდევ სადმე იყოს.

ბევრად, ბევრად, ბევრად წინ ვართ სამტრედიელები ამ მხრივ ქუთათურებზე, რომლებიც წრფელი გულით შემეცოდნენ იმ დღეს. წინა დღით ქუთაისში 12 წლის მოზარდი დაუკრძალავთ, ბრმა შემთხვევამ _ შენობიდან ჩამოვარდნილმა აგურმა რომ იმსხვერპლა.

არ ვაჭარბებთ, 20 მარტის შუადღის ამბებზე მოგახსენებთ.

ლევან გაბეჩავა

# “ჩვენ ვაპირებთ თვითმმართველობის არჩევნების მოგებას”

ნინო ნანიტაშვილი

***პარტიასთან, რომლის ქუდით 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭი იყარა და საკრებულოში მოხვდა, ურთიერთობა ავთანდილ სტურუამ არჩევნების ღამესვე დაასრულა. უპარტიო დეპუტატი დემოკრატიული მოძრაობის ორ წევრთან საკრებულოში ფრაქციას აყალიბებს და ელოდება დროს, როცა მისი პოლიტიკური ბევრაუნდი გაახსენდებათ.***

***ასეც მოხდა, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” რაიონული ორგანიზაციის ყოფილ თავმჯდომარეს იგივე “ნაციონალების” განაყოფმა ერთი თვის წინ სამტრედიაში “მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველოს” დაფუძნება შესთავაზა. ავთანდილ სტურუა ბევრი მეგობრის, ყოფილი კოლეგების მოწოდებას სიამოვნებით დასთანხმდა.***

რესპუბლიკის ქუჩის 5 ნომერში “ევროპულმა საქართველომ” ოფისი 2 კვირის წინ გახსნა.



ავთანდილ სტურუა: “თვითმმართველობაზე გვაქვს ძალიან კონკრეტული მიზნები და ამოცანები. ჩვენ ვაპირებთ თვითმმართველობის არჩევნების მოგებას, ვაპირებთ ჩვენი კანდიდატის გამგებლად არჩევას, უმრავლესობის შექმნას საკრებულოში”.

თანამზრახველების შემოკრების პროცესში ავთანდილ სტურუა უახლოეს წარსულს თვალს ადევნებს და მთავარ დეტალებს იხსენებს. ბევრ საკითხში აზრთა სხვადასხვაობამ 2014 წელს “ნაციონალური მოძრაობა” დაატოვებინა. ერთი-ორი ისეთი იყო, რომელთანაც შეგუება შეუძლებლად მიიჩნია: “იყო სხვადასხვა მიზეზები. ერთ-ერთი – როდესაც თვითმმართველობის არჩევნები მოდიოდა, ჩემი მეგობარი, ზვიად ნიკურაძე აპირებდა გამგებლობას. რატომღაც პარტიამ მიიჩნია, ნიკურაძისთვის მომეთხოვა, გამგებლის კანდიდატობაზე უარი ეთქვა. ჯერ ერთი – არავითარი უფლება არ მქონდა, ვინმესთვის მეიძულებინა, არ დარეგისტრირებულიყო არჩევნებში გამგებლობის კანდიდატად. გარკვეულწილად ამან წერტილი დაუსვა “ნაციონალურ მოძრაობასთან” ჩემს ურთიერთობას. მიმაჩნია, რომ ჩემსა და პარტიას შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ამისთვის მივიღე გადაწყვეტილება და წამოვედი გუნდიდან, დამოუკიდებლად გავაგრძელე პოლიტიკური ცხოვრება”.





გამოცდილ პოლიტიკოსს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან” ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურების გასვლისა და პარტიის გახლეჩის მიმართ თავისი სუბიექტური მოსაზრება გააჩნია:

“ძირითადად, ხედვებში იყო სხვაობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით, მეორე მხარეს მიაჩნდა, რომ ჩვენ არ უნდა შევსულიყავით პარლამენტში და გვებრძოლა აბსოლუტურად სხვა გზებით. ეს იყო მიზეზი, რამაც განაპირობა ამ პოლიტიკური გუნდის გაყოფა. როდესაც ეს გაყოფა მოხდა, ჩემთვის მისაღები შეიქნა ის ურთიერთობები, ის მიმართულებები, რაც ბაქრაძე-ბოკერიას გუნდს გააჩნია. მივიღე გადაწყვეტილება, ამ ხალხთან ერთად გავაგრძელო ბრძოლა.”

“ევროპული საქართველოს” რიგებში რომელი ცნობადი სახეებია, ავთანდილ სტურუა ამ ეტაპზე არ ასახელებს. ფიქრობს, რომ ახალ მოძრაობას მომხრეები ყველა პოლიტიკური პარტიიდან ეყოლება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კარგ შედეგს დადებენ და ხელისუფლებას, რომელმაც თავისი შესაძლებლობები ამოწურა, არჩევნების გზით გაისტუმრებენ: “ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც 2020 წელს შევცვლით ამ ხელისუფლებას, შევცვლით ცივილიზებულად და დავიწყებთ ქვეყნის განვითარებას. ჩვენ ვართ ის ძალა, რომელსაც გაგვაჩნია გამოცდილება, ბრძოლის უნარი. რაც მთავარია, სურვილი და ცოდნა გვაქვს იმისა, ეს ხელისუფლება, რაც შეიძლება, სწრაფად წავიდეს და ჩვენ სახელმწიფო წინ წავწიოთ”.

სტუმრებს დედაქალაქიდან ელიან: “მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველო” დამფუძნებელ კონფერენციას ორიოდე კვირაში აანონსებს.

სამტრედიაში ახალი პარტიის დაფუძნებას ადგილობრივი პოლიტიკური სპექტრი არაერთგვაროვნად უყურებს. “მოძრაობა თავისუფლებისთვის” შედარებით ნაკლებ პრობლემას უქმნის ჯერჯერობით უპარტიო, მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია “რეფორმატორების” თავმჯდომარეს. ყოფილი “რესპუბლიკელი” მიესალმება, სამტრედიაში პოლიტიკური ლანდშაფტი ჭრელი იყოს, რითაც საქართველოს მეტი მოქალაქის ინტერესი გამოიხატება: “მივესალმები ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნას. ვთვლი მეტი პოლიტიკური გაერთიანება უნდა შეიქმნას ქვეყანაში, უფრო მეტად გამოიხატოს საქართველოს მოქალაქეების ინტერესი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი-ორი პარტია უნდა იყოს და მათ ჰქონდეთ მთელი პოლიტიკური ველი გადანაწილებული. აქედან გამომდინარე, ყველა პარტია საქართველოს მოქალაქის ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პარტიაც ამ ორგანიზაციათა რიგებში მოხვდება”.

იმედა გოგავას ჰქონდა მოლოდინი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სამტრედიაში ოპონენტთა შორის “ევროპულ საქართველოსაც” იხილავდა, რაც შეეხება თავად ავთანდილ სტურუას ფაქტორს, ინფორმაციას ამ კუთხითაც ფლობდა.

ცხოვრებაში რომ ყველაფერი მოსალოდნელია, ყოფილ “რესპუბლიკელს” “ნაციონალების” დაშლა ამდენად არ გაჰკვირვებია. სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, იმედა გოგავა ფიქრობს, რომ სააკაშვილისა და ბოკერია-ბაქრაძის გუნდებს საერთოზე მეტი განსხვავებული აქვთ.

“ნაციონალები” და “ევროპული საქართველო” ერთი და იგივე იქნება, ამაზე კატეგორიულად გვეწინააღმდეგება “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ემზარ შუბლაძე ფიქრობს, რომ ახალი მოძრაობა მიშას ავტორიტეტს გამოიყენებს, მაგრამ თავის რიგებში ვერც ერთ “ნაციონალს” ვერ ნახავს. რაც შეეხება ავთანდილ სტურუას, ეს უკანასკნელი სააკაშვილის პარტიისთვის დასაყრდენი რომ არ იყო, სამტრედიელებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე გამოიცნეს: “არ არის გამორიცხული, მიშას ავტორიტეტით მოსახლეობის მხარდაჭერით ახლაც ისარგებლონ და კიდევ ერთხელ ხმები მიიღონ. თუმცა, მჯერა “ნაციონალებს” გარშემო ვერ შემოიკრებენ. 2014 წელს დასრულდა ეს თემა სამტრედიაში, მაშინ, როცა სტურუა მისი გადაწყვეტილებით წავიდა “ ნაციონალური მოძრაობიდან”. ის სხვა თამაშს აპირებდა და ჩვენ მოთამაშე ხალხთან არც წარსულში გვქონდა ურთიერთობა და არც მომავალში გვინდა მათთან ერთად ყოფნა”.

ემზარ შუბლაძე დარწმუნებულია, სტურუამ 2014 წელს საკრებულოში შესვლა “ნაციონალების” ავტორიტეტითა და “თვითმმართველობა ხალხს” პარტიის მანდატით მოახერხა. შუბლაძე ახალ პოლიტიკურ მოძრაობას თავმჯდომარედ ავთანდილ სტურუას დანიშვნას დიდ შეცდომად უთვლის:

“თვითმმართველობა ხალხს” პარტიაში იყო, “პატრიოტულ ალიანსთანაც” თანამშრომლობდა. ამის შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში ღიად, დაუფარავად “ქართული ოცნების” კანდიდატს უჭერდა მხარს და მოუწოდებდა კიდეც ჩვენს მხარდამჭერებს, გია მიქელაძისთვის მიეცათ ხმა. სამტრედია თავისი მდებარეობით, მაცხოვრებლებით დიდ ყურადღებას მოითხოვს. როცა ასეთ რაიონში ასეთ ადამიანს პარტიის თავმჯდომარედ ნიშნავ, ბუნებრივია, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება”.

“ევროპული საქართველოს” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის შექმნას არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს” ლიდერი სამტრედიაში. ვალერიანე ფოცხვერია ამ ეტაპზე შეფასებებისგან თავს იკავებს.

# გზა მშვიდობისა!

ლევან გაბეჩავა

2017 წლის 28 მარტი.

ამიერიდან ეს დღე საქართველოსთვის ღირსშესანიშნავ თარიღად იქნება აღქმული.

პირველად იყო სურვილი.

მერე მცდელობა...

წარმატება – წარუმატებლობა...

ლოდინი, თითქმის გაუსაძლისი...

უიმედობაც...

....

შედეგი უკვე სახეზეა.

თბილისის შოთა რუსთაველისა და ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტებიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის მეთაურობით საქართველოს მოქალაქეებისათვის პირველი უვიზო ტურნე დაიწყო ევროპაში.

მრავალრიცხოვან დელეგაციაში ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ბიზნესის, ახალგაზრდობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან.

ამ დღეს კი, ქვეყნის მთავარ მოედანზე რამდენიმედღიანი საკონცერტო, თეატრალიზებული სანახაობა უძღვოდა წინ.

ზეიმობს სრულიად საქართველო.

ზეიმობენ ქართველები, საქართველოს მოქალაქეები, ისინი, რომელთათვისაც მეორე სამშობლოდ იქცა საქართველო, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ვგულისხმობთ ამჯერად.

ერთი სიტყვით, ერი და ბერი მიესალმება ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. (ცალკეულ სკეპტიკოსთა გარდა).

**და მაინც, რას მოგვცემს ევროპა ჩვენ?**

**რას მივცემთ ევროპას ჩვენ, ქართველები?**

მეტი, ღრმა გლობალიზაცია, მოწინავე გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, ევროპიდან ჩვენი ტრადიციების შესაფერისი ღირებულებათა გადმოტანა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ისტორიის ფართო პროპაგანდა ევროპულ ქვეყნებში, ბიზნესის, საქმიანი წრეების კიდევ უფრო გაფართოება მოსახლეობის, ხალხის უკეთეს ყოფაში, სოციალურ-ყოფითი პირობების რამდენადმე მაინც გაუმჯობესებით უნდა იქნას გამოხატული და დამშვენებული.

კარი გაგვიღო ევროპამ.

გზა მშვიდობისა, ვუსურვეთ პირველ დელეგაციას ევროპის პოლიტიკური დედაქალაქისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ევროპული ქალაქებისაკენ რომ აიღო გეზი 28 მარტს, მაგრამ სწორედ ამჯერად აქ, გვმართებს სიღრმისეულად გავითავისოთ, გავაცნობიეროთ თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მრავლისმეტყველი სიტყვები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით რომ ბრძანა: “ეს არის დიდი მიღწევა და დიდი პასუხისმგებლობა...” დიახ, განუზომელი პასუხისმგებლობა უნდა ახლდეს თან თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ვიზის გარეშე, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ მოიპოვებს ევროპაში მოგზაურობის უფლებას.

თითოეული მოქალაქე, ხომ თავისი ქვეყნის სახე, დესპანი ხდება იმთავითვე.

გვახარებს, ან როგორ არ უნდა გვახარებდეს ქართველი ახალგაზრდების, სპორტსმენების, ხელოვნების მუშაკების ევროპული, საერთაშორისო დონის წარმატებები.

გვწყინს, გვრცხვენია, ან როგორ არ უნდა შეგვრცხვეს, როგორ არ უნდა გვეწყინოს, როცა გვესმის რომ ევროპულ ქვეყნებში მძარცველთა ბანდა დააკავეს, რომელთა შორის უმრავლესობა ქართველები არიან?!

...

აი, ამიტომ გვმართებს მეტი სიფრთხილე, ასი თვალი და ასი ყური...

მართალია, სამტრედიაში, საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთ მრავალრიცხოვან მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით მოვლენასთან დაკავშირებით არაფერი იგრძნობა, გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ განახლებული საქართველოს სახელმწიფო და ევროკავშირის ალმებისა, რაც უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ოცნების ხორცშესხმა ორმხრივ სასარგებლო, ნაყოფიერი იქნება, როგორც ქართველებისა და საქართველოსათვის, ასევე, ევროპული თანამეგობრობისათვის.

ღმერთმა ინებოს!

ლევან გაბეჩავა



# ვიზა-ლიბერალიზაცია – ახალი ფურცელი საქართველოს ისტორიაში

**ქეთევან ჭელიძე**

საინტერესოა, რატომ აირჩიეს ზეზვამ და მზიამ საცხოვრებლად ევროპა. იქნებ იმიტომ, რომ იქ უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. დახმარების მისაღებად მე-18 საუკუნეში სულხან-საბაც საფრანგეთისაკენ მიმავალ სირთულეებით სავსე გზას დაადგა. ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე ვცხოვრობთ და ჩვენი აზიელობით ყოველთვის მაინც ნაკლებად მოგვწონდა თავი. პირიქით, ჩვენში "ევროპული" სჭარბობს და ევროპისკენ სწრაფვაც რომელიმე ხელისუფლების პრეტენზია კი არა, უკან, ჩვენს ფესვებთან მიბრუნებაა. მით უფრო დღეს, როცა 3-ნახევარ მილიონიან ქვეყანას განვითარების გარდა, გადარჩენის შანსიც ამოძრავებს.

ევროკავშირმა ხელი გამოგვიწოდა და კარში გაგვატარა, ახლა უკვე უვიზოდ. ევროპულ ოჯახში დამკვიდრება ჩვენი ღირებულებებისა და ტრადიციების უგულებელყოფას არ ნიშნავს. სამოქალაქო საზოგადოებას ჯერ კიდევ ვაშენებთ და ევროკავშირი ამისთვის საუკეთესო შესაძლებლობებს იძლევა. როგორც წერენ: "ევროპასა და ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაციით, მიდგომით, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საფუძველზე ჩვენ მივიღებთ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სწორად იმსჯელებს, დაინახავს და შეინარჩუნებს ქართულ ტრადიციებს, ღირებულებებს და ადგილს დაიმკვიდრებს ევროპულ ოჯახში".

28 მარტი საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელია. მიზნის მისაღწევად ჩვენმა ქვეყანამ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. პოლიტიკური სტაბილურობა, ხარისხიანი განათლება, ეკონომიკის გაძლიერება _ აი ის, რაც ჩვენ ევროპასთან ურთიერთობამ უნდა მოგვცეს. ასეთია მიდგომა, რომლის განსახორციელებლად უკვე მოგვეცა შანსი. რამდენად შეძლებს თითოეული ჩვენი მოქალაქე მის გამოყენებას და დაცვას, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ქართველი პოლიტიკოსები სასულიერო პირები და ზოგადად, საზოგადოება ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესს დადებითად აფასებს, თუმცა ბევრია ისეთიც, სურვილის მიუხედავად, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა რომ არ მიეცემა ევროპაში სამოგზაუროდ. არც დარღვევებია გამორიცხული.

"სამტრედიის მაცნე" არა მარტო სამტრედიაში, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსაც შეეხმიანა და ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მათი შეფასებები მოისმინა. ვიდრე მას მკითხველს გავაცნობთ, შეგახსენებთ, რომ უვიზო რეჟიმი შენგენის ზონის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას გულისხმობს. იგი ევროკავშირის 22 ქვეყანაზე: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი ჩეხეთი; 4 არა წევრ ქვეყანაზე: ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია, შვეიცარია; 4 კანდიდატ ქვეყანაზე: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია, ვრცელდება. მოკლევადიანი ვიზიტები 90 დღეს მოიცავს. "ევროკავშირის ქვეყნებში 90 დღის პერიოდის ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ტერიტორია, მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის გასვლის შემდეგ".

ვიზა-ლიბერალიზაცია გრძელვადიან ვიზიტებს არ გულისხმობს. იგი უმეტესად მოკლევადიან ღონისძიებებს, კონფერენციებს, საგანმანათლებლო თუ სხვა პროგრამებს ითვალისწინებს. უცხო ქვეყანაში შემსვლელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბიომეტრიული პასპორტი, უკან დასაბრუნებელი ბილეთი, დაზღვევა, სასტუმროს ჯავშანი და ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით საზღვარზე გადამსვლელებს გაესაუბრებიან მესაზღვრე კონტროლიორები. კანონის დამრღვევს დაეკისრება ჯარიმა 3000 ევროს ოდენობით და აეკრძალებათ 5 წლით ევროპის ქვეყნებში შესვლა.

***ლიზა კრავეიშვილი***

***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე:***

"გახარებული ვარ, ხანგრძლივი პროცესი გამოდგა, მიზანს მივაღწიეთ, ვიზა-ლიბერალიზაცია იმ ადამიანებს მისცემს შვებას, ვისაც კონტაქტები აქვს ევროპასთან. მინდა, ჩვენმა მოსახლეობამ ბოროტად არ გამოიყენოს ეს სიკეთე და ჩვენს წინააღმდეგ შეჩერების მექანიზმი არ ამუშავდეს. ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულად საჭიროა ვიზა-ლიბერალიზაცია, რადგან სწავლობენ, მონაცემებს იღებენ _ კონტაქტები ასე უფრო მყარდება. 9 აპრილი მალე მოდის, ჩვენს დამოუკიდებლობას აქედან ჩაეყარა საფუძველი და სასიამოვნოა, რომ 28 მარტიც მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერება".

***მერაბ კაჭახიძე***

***საქართველოს პარლამენტის წევრი:***

"არ შეიძლება, ორი აზრი არსებობდეს და ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ უვიზო მიმოსვლა, ანუ ვიზა-ლიბერალიზაცია ევროკავშირის წევრ და არამარტო წევრ ევროპის 30 ქვეყანასთან უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამას თავისუფალი ვაჭრობის ხელმოწერაზე ხელშეწყობა უსწრებდა, დავინახავთ, რამხელა სიკეთის მოტანა შეუძლია მიღწეულ შედეგს ქვეყნისთვის, დაწყებული ეკონომიკური წინსვლით, დამთავრებული ჩვენი ყოველმხრივი ინტეგრაციით ევროპასა და მის კულტურულ-მეცნიერულ მიღწევებთან; ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით და გაფართოებით, ჩვენთან წარმოებული პროდუქციის ევროპის ხუთას მილიონიან ბაზარზე გატანით, საპასუხოდ, ევროპიდან ახალი ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვით.

ვიზა-ლიბერალიზაცია ხელ-ფეხს გვიხსნის უფრო ინტენსიური კავშირები დავამყაროთ ევროპის კულტურულ, სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან, რითაც ქვეყნის ახალგაზრდებს გზა გაეხსნებათ კვალიფიციური ევროპული სტანდარტებით განათლების მისაღებად, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ სიკეთესთან ერთად ვალდებულებებიც გვაკისრია და აუცილებელია იმ მოთხოვნების დაცვა, რასაც ევროკავშირი ჩვენ გვიყენებს, რათა არ იქნას ქარს გატანებული ამდენი თაობის ქართველთა ნაჯაფ-ნაწვალები. ამ მიღწევის რაციონალურად, სწორად გამოყენების შემთხვევაში რამდენიმე წელიწადში იგრძნობს შედეგს ქვეყნის მოსახლეობა."

***ბაჩანა ჩაბრაძე***

***პოეტი და მთარგმნელი:***

***(საფრანგეთი)***

"ვიზა-ლიბერალიზაცია ცალსახად დადებითი მოვლენაა. ზოგადად, თავისუფლად გადაადგილების უფლება ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. კერძოდ კი ეს არის ევროინტეგრაციის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს გახსნილობა წაადგება როგორც ამა თუ იმ დარგის პროფესიონალებს, ასევე, უბრალო ადამიანებს, თითოეულ ჩვენგანს, გაცილებით მარტივი იქნება განსხვავებული კულტურისა თუ ტრადიციების გაცნობა და უცხოელ კოლეგებთან შეხვედრა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ პროგრესის გზა განსხვავებულ სამყაროთა ურთიერთგახსნილობაზე გადის. ეს ფაქტი უცხოეთში მყოფი ქართველებისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, ვინაიდან იგი აიოლებს ოჯახის წევრების ერთმანეთთან შეხვედრებს. აქამდე, ამისთვის, საკმაოდ ხანგრძლივი, ფასიანი და ბიუროკრატიული პროცედურები იყო გასავლელი. ამიერიდან საკმარისია სურვილი და მგზავრობის დაფინანსება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ნათესავებმა ერთმანეთი მოინახულონ."

***სოფიო კირთაძე***

***მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი:***

"ძალიან კმაყოფილი ვარ. მთელი რიგი ინსტანციები უნდა გაგევლო, ევროპაში რომ წასულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი ძვირი არ იყო, 50 ევროს ან დოლარის გადახდა მაინც გვჭირდებოდა ვიზის მისაღებად. ეს კი დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ახლა გამოცხადდა, რომ თუკი წელიწადში ერთხელ 30 ევროს გადაიხდი, შეგეძლება, ევროპის ბევრ ქვეყანაში 5 დღის განმავლობაში 300 ლარად წახვიდე. გექნება გარანტირებული სასტუმრო, კვება, უფასო ტრანსპორტირება. მე ვიქნები ერთ-ერთი, ვინც გადაიხდის წელიწადში 30 ევროს და იმედია, მექნება საშუალება, ამ სერვისის ხშირი მომხმარებელი ვიყო".

***მამუკა გიგილეიშვილი***

***მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე":***

"ამ ფაქტს დიდი ხანია ველოდით. მართლაც წლები დასჭირდა, დაგვერწმუნებინა ევროპა, ვიზა-ლიბერალიზაცია მოეცა, დიდი შრომა და ძალისხმევა ჩაიდო. რამდენადაც არ უნდა ეცადოს ახლანდელი ხელისუფლება იმის უარყოფას, რომ მიხეილ სააკაშვილისა და წინა ხელისუფლების დიდი წვლილია ამ საქმეში, ეს მაინც ფაქტია, მართლაც დიდი ნაბიჯია _ ქვეყანას გზა გაეხსნა ევროპისკენ. ისე ფართოდ არა, რომ ყველაფერი რიგზეა და როგორც გვინდა, ისე წავიდეთ. რადგან ევროპა წამოვიდა ჩვენთან ურთიერთობაზე, ეს ნიშნავს, რუსეთისკენ აღარ უნდა გავიხედოთ. არა ზოგადად რუსეთისკენ, რუსული პოლიტიკისკენ აღარ უნდა გავიხედოთ."

***ნინო დანელია***

***ღანირის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე:***

"ჩემთვის ეს ფაქტი "ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც თანამედროვე ადამიანისთვის, იმ თაობის წარმომადგენლისთვის, რომელსაც უშრეტი ფანტაზია გააჩნია და მისთვის საზღვრებს გარეთ გასვლა აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის, კულტურის გაცნობის მიზნით. ვიზა-ლიბერალიზაცია ჩვენი მოსახლეობის შეხედულებებს აამაღლებს, დაიმსხვრევა ის ყალბი ფასეულობები და სტერეოტიპები, თუნდაც, ის შეზღუდვები, რაც არსებობს საზოგადოებაში _ ქალი არა პოლიტიკაში, ქალი სამზარეულოში. იგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვისაც იქნება მნიშვნელოვანი."

***თამაზ ჭეიშვილი,***

***მწერალი, ჟურნალისტი:***

"რა თქმა უნდა, საისტორიო მოვლენაა და ძალიან კარგია ჩვენი ქვეყნისთვის! მაგრამ "მედალს ორი მხარე აქვს!" ევროპაში ათიათასობით არალეგალი ქართველია, რომლებიც იქ წლობით შრომობდნენ და ინახავდნენ ოჯახებს. ამ დოკუმენტის დებულების თანახმად, ყველა, ვინც არალეგალურად ცხოვრობს, დეპორტირებულები იქნებიან და წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივდება ბევრი ოჯახი. გარდა ამისა, ჩვენთან მასობრივი სიღარიბეა, რომელი ღარიბი მოახერხებს წავიდეს ევროპაში "სასეირნოდ". მდიდრები, კი ბატონო!"

***ზაირა გოგავა***

***_ ფილოლოგი:***

***(იტალია)***

"საქართველოში, ალბათ, მოსახლეობის დიდ ნაწილს ნამდვილად არა აქვს იმის ფუფუნება, თუნდაც, ამ თავისუფალი მიმოსვლით ისარგებლოს. მოგეხსენებათ, რა ეკონომიკური ფონია დღეს ქვეყანაში. საზღვარგარეთ მყოფი ბევრი ემიგრანტისთვის მართლაც რომ სასიხარულოა, რადგან ბევრ ადამიანს შეეძლება მოინახულოს ემიგრაციაში მყოფი ახლობელი. დროთა განმავლობაში ეს მიმოსვლა თავის შედეგს მოიტანს. ღვთის წყალობით ავისა და კარგის გარჩევა შეგვიძლია და რასაც საუკეთესოს ვნახავთ, შევითვისებთ. ევროპა ბევრ საკითხში ჩვენზე მეტად განვითარებულია, მისაღებს და საუკეთესოს გადმოვიღებთ, ცუდს კიდევ უფრო გავემიჯნებით. ვიზა-ლიბერალიზაცია ძალიან კარგია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის. ვისურვებდი, რომ ეს პროცესი განუხრელად წინ წავიდეს ისევ და ისევ ჩვენდა სასიკეთოდ."

***თემურ ჯავარშეიშვილი***

***ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე:***

"საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და შეჩერების მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება უდავოდ ისტორიული მოვლენაა. გარდა იმისა, რომ ვიზა-ლიბერალიზაცია გახდა ჩვენთვის ნაცნობ და ბუნებრივ კულტურულ და გეოპოლიტიკურ სივრცეში რეინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი, მისი განხილვა პოლიტიკური და წმინდა მატერიალური კუთხითაც არანაკლებ საინტერესოა. განსაკუთრებით მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი აფხაზი და ოსი მოქალაქეებიც ჩვენთან ერთად ისარგებლებენ ყველა იმ სიკეთით, რაც ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობებს უკავშირდება: უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებში, ევროკავშირის ბაზარი მეწარმეებისათვის, ევროპულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა თუ მრავალი სხვა. წმინდა მატერიალური თვალსაზრისითაც, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა გვეძლევა დავზოგოთ მოსაკრებლისათვის საჭირო თანხები: 100, 150, 160 ან მეტი ლარი (თითოეულ ვიზაზე) და გავემგზავროთ შენგენის ზონის ქვეყნებში ვიზის მისაღებად რიგში ჩადგომის გარეშე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, საკმაო დროს მოითხოვდა. გარდა ამისა, საქართველოს იმ დანარჩენი მოქალაქეებისათვის, რომლებიც თბილისში არ ვცხოვრობთ, ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ ვიზის მისაღებად აღარ დაგვჭირდება დედაქალაქში მინიმუმ ორჯერ ჩასვლა, რაც საერთო ჯამში ზოგავს დროსაც და ფინანსებსაც. ამდენად, პირადად ჩემთვის, თუნდაც მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებებიც კი, სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ მეც შევუერთდე იმ საერთო სასიხარულო განწყობას, რაც ვიზა-ლიბერალიზაციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არსებობს."

***კახა ნადირაძე***

***არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისათვის" აღმასრულებელი დირექტორი:***

"ვფიქრობ, რომ ვიზა-ლიბერალიზაცია საქართველოსთვის ერთგვარი ავანსია, რომელიც გონივრულად უნდა გამოვიყენოთ ყოველმხრივ, პირადი, ეროვნული თუ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ. არც გადაჭარბებით უნდა შევაფასოთ მისი მნიშვნელობა. ჩემი აზრით, ეს არის საშუალება, ორი ცივილიზებული ლოკაციის მეტად ურთიერთდაახლოებისა და მულტიკულტურული ურთიერთობების პროგრესისთვის."

***მანანა ტონია***

***პოეტი:***

"მივესალმები საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაციას. გული სიხარულით მაქვს სავსე, როგორც იქნა გაიღო ევროპის კარიბჭე, რომლის ოჯახის წევრი ჩვენი ქვეყანა აქამდეც უნდა ყოფილიყო. სამოცდაათწლიანი ტყვეობის, სამოქალაქო და რუსეთის მიერ დაპყრობითი ომების შემდეგ, ეს არის პროგრესი, რომელიც ჩვენს ქვეყანას განავითარებს, ხელს შეუწყობს ტურიზმს, ეკონომიკას, ინვესტიციებს. გახსნის ახალ ჰორიზონტებს სხვადასხვა სფეროში. ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს, მწერლებს, პოეტებს მისცემს საშუალებას, უფრო მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის. რაც ყველაზე მეტად მიხარია, საზღვრებს გარეთ ჩარჩენილ ჩვენს თანამემამულეებს ექნებათ ჩამოსვლის საშუალება. რაც შეეხება იმას, რომ ქართველების მიგრაცია მოხდება და ყველა ევროპაში წავა, ასე არ არის. ვისაც წასვლა უნდოდა, ისედაც მიდიოდა და მომავალშიც ვერ დაამაგრებს საზღვრების ჩაკეტვა. ამაზე ჩვენმა მთავრობამ უნდა იფიქროს და იზრუნოს. მოსახლეობას შეუქმნას საარსებო პირობები, სამუშაო ადგილები, გაზარდოს ხელფასები, პენსიები, ხელმისაწვდომი გახადოს მკურნალობა, მედიკამენტები. გაამყაროს ვალუტა, გასცეს დაბალპროცენტიანი სესხები არამარტო სოფლის მეურნეობის გასავითარებლად. მაშინ არც არავინ დატოვებს სამშობლოს, ოჯახს.

გზა ევროპისკენ, ეს საქართველოს მომავლის საუკეთესო ოპტიმალური ვარიანტია და ვფიქრობ, ძალიან მალე გამოიღებს შედეგს."



ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

# მერაბისთანა და ზვიადისთანა გმირები საუკუნეში ერთხელ იბადებიან

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედია ეროვნული მოძრაობის ერთგვარ ეპიცენტრად რომ იქცა, ამაში ჩვენი რესპონდენტის წვლილიცაა. მან თავის თავზე სამოქალაქო ომისა და ძმათა დაპირისპირების რისხვაც იწვნია. სამშობლო მსახიობ გია სტურუასთვის უწმინდესი ცნებაა, ამიტომაც, როცა მის მიერ წაკითხულ პატრიოტულ ლექსს ისმენ, სიყალბეს ვერ გრძნობ, სამშობლოსთვის მებრძოლი კაცის წაკითხულ ლექსს სხვაგვარი ცეცხლი ახლავს. მის მიერ მოთხრობილი ომის ქრონიკა ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა წესიერებაში ნამდვილად დავარწმუნებთ.***

**— ტრივიალური შეკითხვით დავიწყოთ, როდის აღმოჩნდით ეროვნულ მოძრაობაში?**

— დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმი დავამთავრე, პროფესიით ტექნოლოგი ვარ. 1978 წელს სამხედრო სამსახურში წავედი, მანამდე თბილისში მივიღე მონაწილეობა დედაენის დღისადმი მიძღვნილ ცნობილ აქციაში. მერე სამტრედიაში ერთ-ერთ აქციაზე გავიცანი ზვიად ძიძიგური. 9 აპრილამდე პერიოდი იყო, ერთ დღეს, მახსოვს, დედაჩემმა ამბავი მოიტანა სახლში, სამტრედიელებს დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობის აქცია დაუწყიათო, თან გამაფრთხილა, არ იშიმშილოო. მე მაშინვე წავედი და აქციას შევუერთდი. იმ დღიდან მოყოლებული უამრავი რამ გადაგვხდა თავს ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულ ახალგაზრდებს. 1991 წელს, 29 დეკემბერს დავიჭერი უზენაესი საბჭოს შენობასთან, უზენაესი საბჭოს შენობაში სამტრედიის ბატალიონის წევრებთან ერთად ვიყავი, როგორც მოხალისე, მეცვა ფორმა, მეჭირა იარაღი. მოგეხსენებათ, კომუნიკაციის ამდენი საშუალება მაშინ არ არსებობდა და რამდენიმე დღე ოჯახს და მეგობრებს ვეგონე მკვდარი. წამიყვანეს იმჟამინდელ არამიანცის საავადმყოფოში, ორივე ფეხში დაჭრილი ვიყავი. ვიდრე საავადმყოფოდან გამოვიდოდი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაც დაამხეს, სამტრედიის საავადმყოფოშიც ვიყავი რამდენიმე დღე, მაგრამ სამტრედიაში რომ შეიცვალა ხელისუფლება, მერე უკვე აქ ჩემი გაჩერება არ შეიძლებოდა. 1992 წელს ზვიად ძიძიგური, ბიჭიკო ანთიძე და მე გაუწყინარში ვიმალებოდით. გაზაფხულზე მხედრიონის წევრები დაგვესხნენ თავს. კახეთის მხედრიონი იყო ამ დროს სამტრედიაში დაბანაკებული, მას გოდერძი გოდერძიშვილი ხელმძღვანელობდა. მე ვერ მნახეს, შინ არ დავუხვდი, შემომითვალეს ჩავბარებოდი. მამა უცემიათ, დედას კონდახები ურტყეს თურმე, ძაღლიც მომიკლეს. მერე მამა წაუყვანიათ პოლიციის შენობაში. მხედრიონელმა კაკო ვაშაკიძემ დაინდო და სიკვდილს გადაარჩინა, თურმე, რის გამოც მამა ძალიან ემადლიერებოდა მას. მაიძულებდნენ ჩავბარებოდი, მაგრამ ცოლ-შვილი გავხიზნე, თუ სახლს დაანგრევენ დაანგრიონო, ვიფიქრეთ და გავეცალეთ ოჯახს...

**— ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს სამაჩაბლოში თქვენც პატრულირებდით სხვა სამტრედიელებთან ერთად...**

— დიახ, ვპატრულირებდით "მრგვალ მაგიდასთან, არსებულ მოხალისეთა რაზმის წევრები ზემო და ქვემო ნიქოზში. პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობის შემდეგ ანაკლიაში შევიკრიბეთ 24-ე ბატალიონის წევრები. ბატალიონის უფროსის მოადგილე ვიყავი პოლიტდარგში. ბატალიონს ამ დროს სულიკო ალფაიძე ხელმძღვანელობდა. ანაკლიაში თვე-ნახევრის განმავლობაში ვიყავით, ვიდრე სოხუმი



დაეცემოდა. ტამიშთან წარმოებულ ბრძოლებში ვმონაწილეობდით მე, რაჟდენ ტორონჯაძე, რადი შენგელია, ასევე რამაზ ჯინჭველეიშვილი. სერგო ბურკაძე, ვახტანგ სხილაძე, მერაბ ბუაძე, რომელიც დაიკარგა, ტამიშზე დაგვეღუპა კირილე რევიშვილი. კობა ძიძიგური, ნუკრი (ამირან) გეგეშიძე, ბიჭიკო ანთიძე და რამდენიმე კაცი ალყაში იყვნენ სოხუმში მოქცეულნი, სოსო ჯომიდავას სოხუმის ბატალიონის შემადგენლობაში. ჩვენი ბატალიონიდან ათი კაცი შევყავდით, სხვა რაიონების ბატალიონების ჯარისკაცები ერთმანეთს ვენაცვლებოდით. უკვე სოხუმი ალყაში იყო და გზის გათავისუფლების დროს მხედრიონი, კი-





ტოვანის გვარდია და ჩვენ, ეროვნული ხელისუფლების მომხრეები ერთად ვიყავით. ოჩამჩირეში თათბირი ჩაატარა სარდლობამ და მოილაპარაკეს, ვინ რა გზით შევსულიყავით სოხუმში. ერთხელ მოვახერხეთ და ოჩამჩირიდან ტამიშამდე გზა გავათავისუფლეთ, მაგრამ მერე დამხმარე ძალა არ მოვიდა, უკან დაგვახევინეს, ამ დროს დავკარგეთ მერაბ ბუაძე. ვერ მოხერხდა ტამიშში შესვლა მთლიანი ძალებით. სოხუმის დაცემის მერე ჩვენ უკვე სამტრედიაში ვეღარ შემოვდიოდით, სენაკი და სხვა ქალაქები უკვე გამსახურდიას ხალხს ეკავა. რომ მოდიოდნენ სოხუმიდან მხედრიონელები, პოსტებზე მათ იარაღს ართმევდნენ. გახსოვთ, იმასაც ამბობდნენ, ლტოლვილებს არ უშვებდნენო, ვინ გაგაბედინებდა ზუგდიდში სამტრედიელს და კახელს, არ გაგეშვა სოხუმიდან გამოქცეული მეგრელი?! მერე გამსახურდიას მომხრეები რამდენიმე დღით შემოვედით ხონსა და სამტრედიაში, აღვადგინეთ კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ ფოთიდან და ბათუმიდან შევარდნაძემ გენერალ ბალტინის ჯარები შემოიყვანა. რუსის ჯარი გაჩერდა დაფნარში, სადაც ჩვენი პოსტი იყო, გვითხრა ბალტინმა, უომრად გამატარეთო. უკან ვიხევდით, რადგან ამ არმიას ვერ გავუმკლავდით.

**— დამარცხების საშინელ განცდას დაემატა თქვენი, როგორც ზვიადისტის დევნა...**

— მე, რადი შენგელია და რამდენიმე ჩვენი მეგობარი ზუგდიდის სოფელ ჭკადუაშის მკვიდრმა გლეხმა შეგვიფარა, რომელთან ურთიერთობას დღემდე ვაგრძელებთ. მერე წავედით მესტიაში ნიგურიანების ოჯახში, რადის ცოლის სანათესაოში. ჩვენი მომხრეები ბევრნი იმალებოდნენ სვანეთში. ჩვენ ცოცხალი ვიყავით თუ არა, ეს არავინ იცოდა. ამასობაში მოთოვა, გზები ჩაიკეტა, მახსოვს, რადის სიდედრი ჩამოვიდა და მერე ამბავი ჩაიტანა სამტრედიაში, რომ ცოცხლები ვიყავით. ამ დროს მამაჩემი გარდაცვლილა, მე ეს არ მითხრეს. წამოვედით იქიდან მე და შმაგი სიხარულიძე, გამოგვატანეს მხედრიონის წევრს. მას უთხრეს, პასუხს აგებ ამათ სიცოცხლეზეო, ის კაცი შაშიაშვილის წერილით მოდიოდა, სატვირთოთი მოჰქონდა კარტოფილი და უნდა წამოეყვანა მხედრიონელები. რადი სვანეთში დარჩა. თვენახევარი ამ უცხო ოჯახში მხოლოდ შეშას ვჩეხდით, ზამთარში სვანეთში სხვა რა უნდა გაგვეკეთებინა? შემოვედით ჯვარის რაიონში და დაღამდა, დის ოჯახში შეიარა ჩვენმა მძღოლმა, იქ ერთი მეზობელი" მახსოვს, ლანძღავდა და აგინებდა ზვიადის ხელისუფლებას. ავიტანეთ ეს ლანძღვა, მერე ის რომ წავიდა, მასპინძელმა თქვა: რა ვქნა, ვერ ვეუბნები ვერაფერსო. მეგრელებს არ უყვარდათ მხედრიონელები. ჩვენს მძღოლს ჰკითხა მასპინძელმა, რატომ შეხვედი მხედრიონშიო, მან კი უპასუხა, იარაღის გამოო. მძღოლს ზუგდიდში ახლობლებთან მოუწია გავლა, იქ მასპინძელმა შემოგვჩივლა, სამჯერ დამესხნენ თავს მხედრიონელები, გაგვძარცვეს, ცოლშვილი გადახიზნული მყავს და ისინი გადამიმალეთო. წავედით უცხო სოფელში. ამ პერიოდში ზვიადისტები ტყეში იყვნენ გასულები და ჩვენს სატვირთო მანქანას წინ გადაუდგნენ. აქ კი შმაგი იცნეს და ხელშეუშლელად გაგვატარეს. წამოვედით... ზვიადისტები ხომ მოღალატეებად ვითვლებოდით. მოგვიანებით შევარდნაძის ხელისუფლებამ გააუქმა ეს ბრალდება. სამტრედიაში დამაპატიმრეს. ათი დღე ვიმყოფებოდი პოლიციაში, არავის მოუყენებია პატიმრობის დროს შეურაცხყოფა, პირიქით, ბოდიშებს მიხდიდნენ, თავდებით გამომიშვეს. ამ დროს სამტრედიის გამგებელი ძნელაძე იყო. მერე წელიწად-ნახევარი რუსეთში დავყავი.

**— იქ რას საქმიანობდით? თავს როგორ ირჩენდით? მსახიობად ჩამოყალიბება, თქვენი პროფესიული ზრდა როგორ შეუთავსეთ ამ ბრძოლის ველზე ყოფნის თუ დევნის ეპიზოდებს?**

— არასოდეს მიმუშავნია პროფესიით, ბავშვობიდანვე დავუკავშირდი თეატრს. დათიკო ტაბიძემ გამზარდა, ტექნიკუმში სწავლის პერიოდში უკვე ჩვენს თეატრში დავმკვიდრდი. თეატრის მსახიობი ვარ, რეჟისორებთან, ტარიელ ხაჟალიასთან და ბიჭიკო ტორონჯაძესთან მიმუშავნია. 1991 წლამდე თეატრში ვიყავი, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, 1995 წელს თეატრს დავუბრუნდი. რუსეთში ზაზა კაჭახიძის ძმამ წამიყვანა, თავი რომ გამეტანა, მშენებლობაზე ვმუშაობდი. რაც შეეხება ჩემდამი მუქარას, სახლში რომ არ გამოვჩნდი, არავინ მოსულა, როგორც ჩანს, მაინც ვერ გაგვიმეტეს! ვიდრე გაიყოფოდა ეროვნული მოძრაობა, დათო და გია ვაშაკიძეებთან ვმეგობრობდით, პირველი შიმშილობის აქცია რომ დაიწყო, ჩემი ხათრით დაიწყო აწ. განსვენებულმა ხუტა ბურძგლამ შიმშილობა. არც შეიძლებოდა ერთმანეთისთვის რაიმე ზედმეტი გვეთქვა.

**— გამსახურდიას პერიოდში დაიდგა პატრიოტული შინაარსის სპექტაკლი?**

— გამსახურდია რომ პრეზიდენტი გახდა, მე თეატრისთვის არც მეცალა, სამაჩაბლოში ვიყავი თითქმის. თეატრის მსახიობებს არასოდეს გვილხინდა. რამდენიმე ადგილას ვმუშაობდით და საქმის სიყვარული გვაძლებინებდა.

**— როგორ ფიქრობთ, რა იყო გამსახურდიას ხელისუფლების მარცხის მიზეზი? არაპროფესიონალების გვერდით დაყენებას დღემდე საყვედურობენ...**

— დიდი პოლიტიკის ბრალი მგონია, მდინარის "დინების წინააღმდეგ" მცურავი სამშობლოს პატრიოტი არ მოეწონათ, მოვლენა იყო იგი. საუკუნეში ერთხელ იბადებიან მერაბისა და ზვიადისთანა გმირები, კადრები როგორ უნდა შეერჩია, 80 პროცენტი კომუნისტი იყო!.. საერთოდ, ხელოვანი კაცი პოლიტიკას უნდა განერიდოს. იარაღი არ უნდა აიღოს ქართველმა ქართველის წინააღმდეგ! გამსახურდიას რამდენჯერმე შევხვდი თბილისშიც და სამტრედიაშიც. აქვე შევხვდი მერაბ კოსტავას, სხვანაირად დავიწყე ფიქრი მათი გაცნობის შემდეგ. დღემდე ზვიადისტებს გვეძახიან, მაგრამ არ მრცხვენია! ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენს თანამებრძოლებზე. მე და რადი შენგელია მეგობრები ვართ, ტამიშში შესვლის დროს რადისათვის იარაღი არ იყო, ამიტომ მას არ უშვებდნენ. რადი უიარაღოდ შემოვიდა, მერე საწყალი კირილე რომ დაგვეღუპა, მისი იარაღი აიღო რადიმ. ერთხელ ღამის სამ საათზე გვეგონა ალყაში მოვხვდით, გათენებამდე ტყვიების წვიმაში მთელი ღამე წყალში ვიდექით. მანამდე რადის დიდხანს ვეხვეწებოდი, შენი სათვალე მაჩუქე-მეთქი და იმ ღამეს კიდევ რომ ვთხოვე, მაშინვე დავითანხმე. ვინ არის ეს გადარეული, ომში სათვალეს ითხოვსო, უკვირდათ მეომრებს. ასეთ დროს იუმორი ძალიან გვშველოდა...

# დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი

ლევან გაბეჩავა

1939 წლის 31 მარტს ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში ვაჟი დაიბადა.

რთული, მოწამეობრივი ცხოვრების გზა განვლო ზვიად გამსახურდიამ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.



დევნა, შევიწროვება, პატიმრობა... სამშობლოს მომეტებული სიყვარულისთვის, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლისთვის "დაიმსახურა" ზვიადმა და მისმა უახლოესმა თანამოაზრეებმა.

...

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა ზვიად გამსახურდიას მრავალწლიანი ბრძოლა იმპერიულ ძალებთან.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ორი წლით ადრე, საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან.

პირველი ეროვნული ჩემპიონატი გახსნა ჩვენი სახელმწიფოს მომავალმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

უპრეცედენტო ფაქტია ეს შემთხვევა ისტორიაში.

მაშინდელი მედია წერდა, საქართველომ დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყოო.

ამ საქმის თაოსანი კინორეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი გახლდათ.

პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის დღეს ზვიად გამსახურდიამ სიტყვით მიმართა ჩემპიონატის მონაწილეებს:

"— საქართველოს ძენო და ასულნო, საყვარელო დანო და ძმანო, გილოცავთ ამ ნანატრი დღის დადგომას, გილოცავთ ეროვნული ჩემპიონატის პირველ დღეს!

ძვირფასო მეგობრებო! ამ დღეს ქართული ფეხბურთი შემოუერთდა საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ჩვენთან ერთად იბრძვის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

...

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

ლექსი "წმინდა გიორგი" ერთ-ერთია ზვიად გამსახურდიას შემოქმედებიდან.

წმინდაო გიორგი,
დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას
და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ
დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო
შენი — გეორგია.
დიდების უფალი
მართალთა მზედ არი
წმინდაო რაინდო,
გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი
და უფლის სვე-დარი!..

78 წლისა გახდებოდა 31 მარტს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მეცნიერი ზვიად გამსახურდია (1939-1993 წ.წ.).

# დაგვიანებული წერილი ჟურნალისტური ლირიულობით

**თეა ბაბუნაშვილი**





ჟურნალისტური ტემპიდან და ოპერატიულობიდან გამომდინარე, ეს წერილი დაგვიანებულია. მაგრამ მკითხველის ინფორმირებულობისთვის, აუცილებელი ფაქტის გახსენება კომენტარებით და შეფასებებით, საჭიროდ მისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე ჩავთვალეთ.

შევეცადეთ, დასაწყისი ჟურნალისტური ტერმინებით დაგვეტვირთა, რადგან საქმე ქართველ ჟურნალისტებს და 90-იან წლებში მიღებულ გადაწყვეტილებას, პროფესიული დღესასწაულის პირველი ქართული ბეჭდვური ორგანოს გამოცემის თარიღზე დამთხვევას ეხება. წინადადება ისევე გადატვირთულია, როგორც თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სტილი და სტილისტურობა. თუმცა საყვედურები პროფესიონალიზმზე, გამართულ-გაუმართაობაზე, ობიექტურობა-მიკერძოებულობაზე, სიტყვის თავისუფლების ხარისხზე ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან არ გვაკლია საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზის ფუნქციამინიჭებული პროფესიის წარმომადგენლებს. არც რეაქციები აყოვნებს ჩვენგან, ძირითადად, მხოლოდ პოლიტიკოსებთან მიმართებაში, რადგან საზოგადოება არაერთხელ დარწმუნდა, რომ ნაგაზი მაშინ ხდება ავი, როცა ცხვარს საფრთხე ემუქრება.

ბოლო პერიოდში ატეხილი ხმაური ქართული ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტების მისამართით, გვინდოდა ამ პატარა წერილში მიგვეჩუმებინა. სადღესასწაულო ტაიმ-აუტის აღება და მხოლოდ მოლოცვებით დასვენება გვსურდა, თუმცა საყვედურებს შიგადაშიგ შემოპარებულს, მაინც ვერ ავცდით. იმაში დარწმუნებულებმა, რომ ჟურნალისტს სქესი არ აქვს, ისიც ვირწმუნეთ, ვერც დასვენებით მოდუნების ფუფუნებას რომ ვერ მივცემდით საკუთარ თავს.



გამგებლის კაბინეტში შეხვედრის შემდეგ, როგორც ახლა მოდაშია, ''ალა-ფურშეტი'' გაიმართა. იმ დარბაზში, ოფიციალურ შეხვედრებს რომ არის ნაჩვევი, მედიისთვის სპეციალურად გამომცხვარი ტორტი, კეთილი სურვილები და საგანგებოდ მომზადებული საჩუქრები ერთგვარი ლირიული გადახვევა გახლდათ.

მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ინიციატივით მოწყობილმა შეხვედრამ ღიმილიანი განწყობით ჩაიარა. გამგებლის, ვალერი ფოცხვერიას, საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, მისი მოადგილის, კობა ძიძიგურის, გამგებლის პირველი მოადგილის, დავით ბახტაძის, გამგებლის მოადგილის, ლიზა კრავეიშვილის კეთილი სურვილები ჭიქა შამპანურის თანხლებით ითქვა. მაჟორიტარ გია მიქელაძის სიმბოლური საჩუქრები მის მოლოცვასთან ერთად, მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელმა, თინათინ ხარძიანმა მოიტანა ჩვენამდე.

საგანგებოდ გამომცხვარი ტორტის გაჭრაც საგანგებო გახლდათ. ვალერი ფოცხვერიასთან ერთად, ამის პატივი გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'', გამგეობის საინფორმაციო ცენტრის და ტელეკომპანია ''ზარის'' ხელმძღვანელ პირებს ერგოთ.

ბოკალში ცქრიალა ღვინო, სიტყვაში ჟურნალისტური ხიბლი და ღიმილში გრძნობების თავშეკავება იმ დღის საზეიმო განწყობის ლაიტმოტივი გახლდათ. კეთილი სურვილები ერთმანეთის მიმართ, იმედია, გულწრფელი იყო. ერთი ჟურნალისტური დღე გაგვილამაზა ადგილობრივმა ხელისუფლებამ რომელსაც პროფესიული ქარცეცხლი არც სადღესასწაულო ხასიათის მიუხედავად აკლდა.

ამ სასიამოვნო მიღების შემდეგ, რადაქციაში ახალგაზრდები, მომავალი ჟურნალისტები გვესტუმრნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან. უკვე გამოცდილებს პროფესიული რჩევები გვთხოვეს, იმ ბანერზე წასაწერად, თან რომ მოიტანეს. კეთილ სურვილებად ალბათ გაჰყვებათ ჩვენი რჩევა-დარიგებები.

21 მარტი განსაკუთრებულად აღინიშნა ადგილობრივი მედიისთვის. ჩვენი, ჟურნალისტური მადლობა ამ ჩანაფიქრის ავტორებსა და განმხორციელებლებს. კვლავ თანამშრომლობის იმედით მომავალ პროფესიულ დღესასწაულამდე ეს ლირიული გადახვევა შთამბეჭდავი ნამდვილად იქნება.

# ''განათლება ჩემთვის პრიორიტეტულია''

**ნინო ნანიტაშვილი**

ხათუნა თელია იმ ოთხი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთია, რომლის სკოლასაც წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით მილენიუმის პროგრამის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. სამტრედიაში უძველესი სკოლის დირექტორს მტკიცედ სწამს, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში მაჟორიტარი დეპუტატის ხელი ურევია.

ხათუნა თელია: ''ასწლოვანი სკოლა სტიქიამაც დააზარალა, გაუსაძლის პირობებში ვიყავით. იგეგმება სკოლის სრული რეაბილიტაცია. როცა ჩამოვიდნენ ჩვენთან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, აღნიშნეს, რომ უდავოდ აქტიური და ენერგიით სავსე დეპუტატი გყავთ, რამეთუ მთელი პრობლემები ყოველთვიურად ჩამოაქვს ბატონ მინისტრთანო. დიდ მადლობას ვუხდი გრიგოლ მიქელაძეს მთელი ჩემი კოლექტივისა და ყველა ბენეფიციარის სახელით.''



საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი, გრიგოლ მიქელაძე 21 მარტს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საკონფერენციო დარბაზში მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდა. მიზეზი იმ ინფორმაციის გაჟღერება იყო, რომელმაც არა მარტო მილენიუმის პროექტში ჩასმული 4 საჯარო სკოლა გააბედნიერა, რწმენა დანარჩენ საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც გაუჩინა: წელს თუ არა, გაისად მათ სკოლებსაც მიხედავენ.

გრიგოლ მიქელაძე: ''რამდენიმე სკოლაში იწყება სარემონტო სამუშაოები. ამ წელიწადში 4 სკოლაზე მეტი ვერ მოესწრება, მაგრამ მაქვს ძალიან დიდი იმედი, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები რამდენიმე სკოლას მოინახულებენ, დაათვალიერებენ, სადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მომავალ წელს იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიგეგმება''.

გრიგოლ მიქელაძემ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეკრებილ განათლების მუშაკებს მთავრობის ეს პოზიტიური გადაწყვეტილება მიულოცა და იქვე ინფორმაცია მიაწოდა დირექტორებს, თავად დეპუტატი თუ როგორ აქტიურად იყო ჩართული კონკრეტული პროექტის განხორციელების პროცესში: ''განათლებას მთავრობის 4 პუნქტიან პროგრამაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. საგანმანათლებლო სივრცე და იქ შექმნილი სიტუაცია პრიორიტეტულია ჩემს სადეპუტატო საქმიანობაშიც. არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომაც ხშირად დავდიოდი სკოლებში და არ დაგიმალავთ, ძალიან გულდაწყვეტილი ვარ სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობით. დაზიანებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნგრევის პირას მისული შენობები. ზოგან თითქოს რაღაც გააკეთეს, მაგრამ _ უხარისხოდ. გაძლევთ მეგობრულ რჩევას, არ ჩაიბაროთ შესრულებული სამუშაო, ვიდრე კარგად არ ნახავთ და არ დარწმუნდებით, რომ სრულფასოვნად არის გაკეთებული''.



მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრით ისარგებლა და საკუთარ ძმას გამოესარჩლა საჯავახოს საჯარო სკოლის დირექტორი. ვაჟა კუცია დარწმუნებულია, რომ მისი ძმა, ნუგზარ კუცია მე-4 საჯარო სკოლის დირექტორობიდან უსამართლოდ არის განთავისუფლებული:

''სადაც კი უმუშავია, ყველგან ღირსეულად გაურთმევია თავი თავისი სამსახურისთვის, ყველგან სანიმუშო და სამაგალითო იყო. დაუღალავი, ენერგიული. ამ სკოლას თუ შევეხებით, მისთვის რვასაათიანი სამუშაო დღე არ არსებობდა, დღე და ღამე მუშაობდა. გულსატკენია ამიტომ მისი გათავისუფლება. როგორც დეპუტატს, გთხოვთ, დაეხმაროთ ნუგზარ კუციას სამართლიანობის აღდგენაში''.

გრიგოლ მიქელაძე სკოლებში სადავო საკითხებში ჩარევას ერიდება, რადგან თავს არაკომპეტენტურად მიიჩნევს და ყველას ურჩევს, სიმართლის გასარკვევად სასამართლოს მიმართონ: ''სიმართლეს ყოველთვის დავუჭერ მხარს. არავინ არ უნდა დაიჩაგროს. გავრცელებულია ასეთი ჭორი მე-4 სკოლასთან დაკავშირებით, თითქოს რაიონის საკრებულო, მუნიციპალიტეტის გამგებელი, მე, პირადად, როგორც დეპუტატი, ჩავერიეთ ამ საკითხებში, ეს არ არის ჩვენი კომპეტენცია, ეს სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს. მე მომმართეს განცხადებით, მე კი ზემდგომ ორგანოს _ განათლების სამინისტროს მივმართე. სამინისტრომ შეამოწმა, ნახეს, დაადგინეს. ამის შემდეგ სასამართლოა, სადაც შეგიძლიათ მიმართოთ და ის დაადგენს სიმართლეს''.

# ვფიქრობ, საამო სურნელი დავატრიალეთ



გაზაფხული დადგა და ჩვენი სკოლის ყოველი კუთხე-კუნჭული უცნაურად აახმაურა, სასიამოვნო სურნელება დაატრიალა და მოსწავლეები სადღესასწაულო განწყობაზე დააყენა. ყველა მოაჯადოვა, ახალი იმედები და მიზნები ჩაუსახა.

ამ თვეს ხომ გულსაბნევად ატყვია 3 მარტი და 8 მარტი, რომელთა მიმართ გულგრილი ვერ იქნები.

6 მარტს ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა ეზეიმა ეს დღე, მოფერებოდა დედას და ყველასათვის გვემცნო, რომ გაზაფხული დადგა. მხოლოდ დადებითი ემოციებით, სიყვარულითა და სიხარულით უნდა აგვევსო გულები. პრობლემები გაგვეტანებინა ცივი და მკაცრი ზამთრისთვის და ყველასთვის გვეთქვა: ნუ წაართმევთ თქვენს თავს ბედნიერებას, თქვენ მას იმსახურებთ, რომ ცხოვრება მშვენიერია.

განსაკუთრებული ძალისხმევა და მონდომება ჩავაქსოვეთ ამ ზეიმს, ვცდილობდით ყოფილიყო ისეთი, როგორც დედებს, მანდილოსნებს ეკადრებოდათ. მოვიძიეთ სხვადასხვა პოეტის ლექსები და შევეცადეთ ისე წარმოგვეთქვა, რომ მათში დიდი სიყვარული ყოფილიყო ჩაქსოვილი.

ვფიქრობ, საამო სურნელი დავატრიალეთ. ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლია თევზაძე, აგრეთვე ღონისძიების მომზადებაში გვეხმარებოდნენ მასწავლებლები: ნათელა ჯიმშელეიშვილი, ანა დარსაველიძე, ვიკა ვეკუა, რომლებიც გვერდში გვედგნენ და ჩვენს სიხარულს იზიარებდნენ.

**მარიამ ფილფანი**

**სამტრედიის მე-2 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე**

პირბადის ქვეშ

# გამოვრთავდით თბილისს და ჩავრთავდით სამტრედიას

თეა ბაბუნაშვილი

**ამ პატივსაცემი ქალბატონის გაცნობა მკითხველისთვის ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით გვინდოდა. მოგეხსენებათ, ქართველმა ჟურნალისტებმა პროფესიული დღესასწაული ვიზეიმეთ, რომელსაც პირველი ქართული ბეჭდვური ორგანოს გამოცემის დღეს, 21 მარტს აღვნიშნავთ.**

**გაცნობა გვინდოდა-თქო, მაგრამ ეს არ იქნება სწორი, რადგან სახელი და გვარი ნათელა დევიძე, უფროსი და საშუალო თაობის სამტრედიელებისთვის უკვე ნაცნობია.**

**რატომ ის? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჭეშმარიტი განათლების დიდად შემფასებელ-დამფასებელი, ნებისმიერი საქმისადმი პედანტურობამდე მისული პასუხისმგებლობით ყოველთვის გამოირჩეოდა. და რაც ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანია, ნათელა დევიძე სამტრედიის რაიონის რადიოს დიქტორი გახლდათ. ჟურნალისტიკასთან მისი კავშირი, საბჭოთა ეპოქაში რაიონის რაიკომის მდივნის, სამტრედიისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის, თამაზ იმედაძის შენიშვნამ განაპირობა. "ქალი გამოცვალე" გახლდათ სიტყვები, ადგილობრივი რადიოს რედაქტორს, ნიკოლოზ კოპალეიშვილს მასზე რომ გააკეთებია არჩევანი. ნიკოლოზ კოპალეიშვილის ცნობადობაზე საუბარს აქ არ მოვყვებით, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ დღევანდელმა რუბრიკამ სამტრედიისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების კიდევ ერთხელ გახსენების საშუალება მოგვცა. ჩვენი რესპონდენტი სწორედ რაიონისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების გარემოცვაში ტრიალებდა. საკუთარი თავისადმი წამოყენებული პირობა, თუ ხარ, უნდა იყო საუკეთესო, გახლდათ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული, ყველა იმ საქმეში, რასაც ხელს მოჰკიდებდა, მართლაც საუკეთესო იყო.**

**და ერთიც, პირადული, თუმცა, ვიცი, მომიტევებთ _ ქალბატონი ნათელა და დედაჩემი ერთმანეთს ახლოს იცნობდნენ. მინდა ამ წერილით ქედი მოვიხარო მისი თაობის ადამიანების წინაშე, რადგან აშკარად იგრძნობა მათში ის განსხვავებული ნიშა, ძალიან რომ სჭირდება, უფრო მეტიც, მოიხდენდა დღევანდელობა. დღეს უკვე ჩემს სამუშაო ოთახში ინტერვიუს ჩაწერისას თვალწინ მედგა, დედაზე ხელჩაკიდებულს, მასთან მისალმების და საუბრის შემდეგ დედისგან გაგონილი _ ძალიან ჭკვიანი ქალია, აი, ასეთი უნდა იყო!**

**დანარჩენზე ნათელა დევიძეს თავად მოვაყოლოთ.**



**_ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თქვენ ბრძანდებით რადიოს პირველი დიქტორი სამტრედიაში.**

_ პირველი არა, თუმცა, მანამ, სანამ სამტრედიის ადგილობრივმა რადიომ მუშაობა შეწყვიტა, მისი დიქტორი გახლდით. სამტრედიაში ადგილობრივ რადიოს კოლია კოპალეიშვილი ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში, რაიკომის მდივნად თამაზ იმედაძე დაინიშნა. რადიო გადაცემას რომ მოუსმინა, კოლია კოპალეიშვილს ურჩია, ქალი შეცვალეო. ბატონ კოლიასთან საქმიანი ნაცნობობა და ურთიერთობები მქონდა და მანაც არჩევანი ჩემზე შეაჩერა.

**_ რადიოს ისტორია რომელი წლიდან იწყება სამტრედიაში?**

_ დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ თუ არ ვცდები, სამოცდაათიანი წლებიდან. ვაკეთებდით ყველა ტიპის გადაცემას, იყო საუბრები სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე. გვქონდა საინფორმაციო ბლოკი, მხატვრული კითხვის საათი. ერთი სიტყვით, სრული დატვირთვით ვმუშაობდით და ეს დიდწილად მისი მთავარი რედაქტორის, ნიჭიერი კაცის, სამტრედიის ერთ-ერთი კოლორიტის, კოლია კოპალეიშვილის დამსახურება გახლდათ. რადიოგადაცემების რედაქცია ძველი ფოსტის შენობაში მუშაობდა. იქ გახლდათ გამოყოფილი ერთი ოთახი ჩაწერისათვის. გადაცემას კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და პარასკევობით ვაკეთებდით. საქართველოს რადიო ხუთ საათზე გაწყვეტდა ეთერს და ჩვენ ნახევარსაათიანი ჩართვა გვქონდა, როგორც ეს რაიონული რადიოგადაცემებისთვის იყო მიღებული. ტექსტებზე ბატონი კოლია მუშაობდა, ფაქტობრივად, ყველაფერს ის აკეთებდა. მახსოვს, საქართველოს რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი, სერგო ლანდია ჩამოვიდა და შეამოწმა ჩვენი მუშაობა. სულ არ ვიცოდი ვინ იყო, ტექსტი წავიკითხე ისე, როგორც ყოველთვის ვკითხულობდი. მას ძალიან მოეწონა. ბატონმა კოლიამ მერე მითხრა, ვინ იყო ჩვენი სტუმარი.

**_ თანამედროვე საშუალებებისგან მკვეთრად განსხვავებული ტექნიკა გექნებოდათ. როგორ მიმდინარეობდა ჩაწერა?**

_ რომ მოვდიოდი ჩასაწერად, ბატონი კოლია უკვე გამზადებულ, დანომრილ ტექსტებს მახვედრებდა. ტექსტს ჩავწერდით, შევამოწმებდით და რუსუდან ამაღლობელი, ჩვენი "ტექნიკი" გათიშავდა თბილისს და ჩართავდა სამტრედიას. ერთ პატარა ოთახში ყველა ვეტეოდით ყველაფრიანად. იმ დროის შესატყვისი ყველანაირი ტექნიკა გვქონდა. ჩვეულებრივ, მიკროფონით და რადიოლათი, რომელშიც სპეციალური ფირი იყო, ვწერდით და ვუშვებდით ეთერში.

**_ მუშაობის პროცესში უთუოდ გექნებოდათ რამე კურიოზი. ბოლოს და ბოლოს, სამტრედიის "ყური" იყავით.**

_ თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ისეთი კაცი იყო კოლია კოპალეიშვილი, იმდენად ჰქონდა ყველაფერი გათვლილი, ასეთი რამ არ ხდებოდა. ყურში თუ რამე მოხვდებოდა ცუდად, იუმორით გეტყოდა და ყველაფერი იმ წუთშივე სწორდებოდა. სხვათა შორის, ზოდიაქოს ნიშნების დახასიათებას ვკითხულობდი და ჩემს ნიშანს უწერია, რომ კარგი დიქტორი იქნებოდა. თავის ქებად, ალბათ, არ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, ჩემი ხმის ტემბრის გამო, საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ ეს საქმე კარგად გამომდიოდა.

**_ ქალბატონ ნათელა დევიძეს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს, მუდამ დაკავებულს და საქმიანს, ყველა დაკისრებული მოვალეობის წარჩინებით შემსრულებლად იცნობდა სამტრედია. გარდა ამისა, ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა საკმაოდ დიდი სამრეწველო ობიექტი გახლდათ სამტრედიაში, რომელსაც საკავშირო დანიშნულება ჰქონდა და საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკებთან საქმიანი ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. თქვენ ამ საწარმოს მთავარი ინჟინერი ბრძანდებოდით.**

_ დიახ, ასე იყო. გარდა იმისა, სამტრედიაში ერთ-ერთი დიდი საწარმოს, ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გახლდით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა კუთხითაც გახლდით ჩაბმული. მზია ჯინჭველაშვილთან ერთად დუეტ "საპოვნელაში" ვმღეროდი. შეიძლება ითქვას, რომ მზიამ აღმომაჩინა. ერთხელ, გზაში შემხვდა და მითხრა, რომ ჩემი ხმა მოეწონა, მეორე ხმა მაქვს, ალტი _ ქალის მეორე ხმა. საწარმოების დათვალიერება იმართებოდა ადრე, კულტურული ღონისძიებები ეწყობოდა და ჩვენი ფაბრიკის წარმომადგენლებთან ერთად მომისმინა თურმე სცენაზე. ყურში ჩამწვდა და დამამახსოვრდა შენი მეორეო. შემომთავაზა, დუეტში გვემღერა. პირველივე შეხვედრაზე მასთან სიტყვების გარეშე ვიმღერეთ მისი პირველი სიმღერა. დუეტის შექმნის იდეაც დაიბადა. მის წინადადებას დავთანხმდი და 90-იანი წლებიდან ერთად ვმღერით მე და კომპოზიტორი მზია ჯინჭველაშვილი.

ძალიან რთული იყო მუშაობა ჩვენს ფაბრიკაში. ფუნქციონირებდა საამქროები, სადაც ზამთარ-ზაფხულ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე უხდებოდათ მუშებს მუშაობა. რა თქმა უნდა, ტექნიკურ პერსონალსაც უწევდა მათთან ერთად საამქროში ყოფნა. არ იყო ისე, ახლა რომ ამბობენ, საბჭოთა კავშირის დროს პროდუქცია უხარისხო მზადდებოდაო. ვისაც სურს, შეგვიძლია ვიდავოთ, როდის უფრო მნიშვნელოვანი იყო ხარისხი, დღეს თუ იმ პერიოდში. რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებდით პროდუქციის ხარისხს და ვარგისიანობას. უშუალოდ გახლდით ჩართული ფაბრიკის მუშაობის ყველა ნიუანსში. ძალიან შრომატევადი სამუშაო გახლდათ, როგორც მუშა-მოსამსახურეებისთვის, ისე სხვა ტექნიკური თუ ხელმძღვანელი პერსონალისთვის.

**_ ცოტა უხერხულ თემას უნდა შევეხოთ _ ოჯახი არ შექმენით. ალბათ, როგორც იტყვიან, წუნია ბრძანდებოდით?**

_ ჰო, ასე მოხდა. არ ვიცი, წუნიობის ბრალია ეს, თუ არა. საკმაოდ კარგი ვაჟები ირეოდნენ ჩემს ირგვლივ და, სხვათა შორის, არაერთი. დედა, მარია ნუცუბიძე, ნამდვილად წუნია და მომთხოვნი იყო ამ საქმეში. დედისერთა გახლდით და მის "კაპრიზებს" ესეც აორმაგებდა. თავად ძალიან განათლებული, კულტურული და დახვეწილი ქალი იყო. იმხანად ქუთაისის რუსული გიმნაზიის დასრულება დიდი განათლება გახლდათ. დედას სწორედ იქ ჰქონდა განათლება მიღებული. მამა, გრიშა დევიძე, საკმაოდ ჭკვიანი და ცნობილი ბუღალტერი გახლდათ. მშობლები ერთმანეთთან დაცილებულები იყვნენ.

რა თქმა უნდა, ღრმა ფიქრებში წასული ვფიქრობ, რომ მეც გავზრდიდი და აღვზრდიდი შვილებს კარგად.

**_ საკმაოდ პოპულარული ქალბატონი ბრძანდებოდით თქვენი დროის სამტრედიაში. რა ითვლებოდა, უფრო სწორად, რას მოჰქონდა პოპულარობა თქვენს ახალგაზრდობაში, ქალბატონო ნათელა?**

_ განათლებას. კომუნისტებს საყვედურობდნენ, რომ მათ არ იცოდნენ განათლების ფასი, მაგრამ ეს ასე არ იყო. მართალია, მაშინაც არაერთი ფაქტი იყო ნაცნობობით, ვიღაცის შვილობით აღზევებისა, მაგრამ განათლებული და პერსპექტიული ახალგაზრდა არ იკარგებოდა, დღეს თუ ხვალ მაინც დაინახავდნენ. გარკვეულ პირობებს უქმნიდნენ, უფრო სწორად, ხელს უწყობდნენ საკუთარი თავის წარმოჩენაში. უმაღლეს სასწავლებელში რომ მოვეწყვე, ეს იყო უდიდესი სიხარული და მიღწევა ჩემთვის. მაშინ სწავლაც სხვანაირი იყო, უმაღლესი სასწავლებლის დასრულება უბრალო საქმე არ გახლდათ. ვიმეორებ, გამონაკლისი ნეგატივები ყოველთვის შეიძლება იყოს ყველა სფეროში, მაგრამ ასე ერთი ხელის მოსმით ყველაფრის გაუბრალოება და განქიქება სწორი იმიტომ არ არის, რომ სიმართლეს არ შეესაბამება. უმაღლესის დიპლომს შესაბამისი განათლებაც მოჰყვებოდა. ყოველ შემთხვევაში, უმეტესად ასე იყო. იმ მხოლოდ დიპლომისთვის დამთავრებულსაც მისი საზომი ჰქონდა და ჭეშმარიტ განათლებამიღებულსაც, რადგან მაშინ სხვა მოთხოვნები და მიდგომები იყო და სამსახურეობრივ ყოველდღიურობას სააშკარაოზე ბევრი რამ გამოჰქონდა.

**_ რა არის ის, რაზეც გული გწყდებათ?**

_ დამიჯერებთ, რომ არაფერზე? მე მივაღწიე ყველაფერ იმას, რაც მინდოდა. მინდოდა განათლების მიღება, საკუთარი მოვალეობების პირნათლად შესრულება. ვიცხოვრე აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით. რაიონის აქტივი ვიყავი, ჩაბმული გახლდით მის ყოველდღიურობაში, მქონდა ჩემი წონა და სახელი. ქალბატონი ნათელა გელეიშვილი, მოგეხსენებათ, რაიკომის მდივანი გახლდათ, როცა დამიძახებდა, აგრეთვე ჯულიეტა გოგავა, კულტურის განყოფილების გამგე იყო, ყოველთვის მზად ვიყავი დაკისრებული დავალება საქებრად შემესრულებია.

**_ როგორც ვიცი, ის უხილავი ხმა საშვიდნოემბრო და საპირველმაისო ღონისძიებებზე, რადიოს დიქტორები, ნიკოლოზ კოპალეიშვილი და ნათელა დევიძე იყვნენ.**

_ დიახ. მე და კოლიას მიგვყავდა დემონსტრაციები. და მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგად მახსენდება ის დრო. არ იყო ისე, როგორც დღეს ჰყვებიან ამ დემონსტრაციებზე. სადღესასწაულო განწყობა ჰქონდათ ადამიანებს, სხვა აზარტი, სხვა ტონუსი იყო. ყველა განსაკუთრებით ემზადებოდა ამ დღეებისთვის, ახალს ჩაიცვამდნენ, ეღიმილებოდათ, უხაროდათ. 75 ათასი ადამიანი ცხოვრობდა მაშინ სამტრედიის რაიონში. დღეს არც კი ვიცი, რამდენი ცხოვრობს, ფაქტია, რომ სამტრედია კი არა, ქვეყანაა დაცლილი.

საუბრის დასაწყისში კურიოზი ახსენეთ და დემონსტრაციების წაყვანისას ზოგჯერ იყო ასეთი შემთხვევები. როცა ფაბრიკა-ქარხნები ჩამოივლიდნენ ტრიბუნასთან, მაშინდელი რაიკომის წინ, მათ მიღწევებზე, გეგმების შესრულებაზე ვაცხადებდით იმის მიხედვით, თუ რომელი საწარმოს კოლექტივის კოლონა მოდიოდა. როცა სკოლები და სასწავლო დაწესებულებები ჩამოივლიდა, ლექსებით ვალამაზებდით სათქმელს. რესპუბლიკის, მაშინდელ ლენინის ქუჩაზე რომ გადმოუხვევდნენ, უკვე ვიწყებდით მათზე საუბარს. ერთხელაც, აგვერია და ჩაი-მექანიკური ფაბრიკის გეგმები რომელიღაც სკოლის მოსწავლეების კოლონის ჩავლისას წავიკითხეთ.

**_ ძალიან მოსაწყენი იყოო, ის ეპოქა. არადა, ბევრი განსაკუთრებული ნოსტალგიით საუბრობს საბჭოთა წლებზე. ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა, ევროლიბერალიზაციის პირობებში გვსაყვედურობენ, რომ კიდევ ვერ განვთავისუფლდით საბჭოთა მენტალიტეტისგან. რითი ერთობოდით, მოწყენას როგორ ართმევდით თავს იმ მოსაწყენ ქვეყანაში, აღნიშნეთ, რომ სხვა აზარტი, სხვა განწყობა ჰქონდათ ადამიანებს.**

_ რა თქმა უნდა, ბევრი რამ მიუღებელი იყო, გადაჭარბებულიც, დაპროგრამებულიც. რითი ვერთობოდით და, მე, მაგალითად, სპექტაკლი არ დამიტოვებია და კინოსეანსი, რომ არ დავსწრებოდი. მაშინ ეს შესაძლებელი კი არა, ხელმისაწვდომი იყო, ახლა, ნაკლებად.

**_ თაობათა შორის აზრთა სხვაობა მამათა და შვილთა ბრძოლაში გადაზრდილიც კი, დღემდე ურთიერთკრიტიკის უცვლელი პოლიგონია. სხვა მრავალთან და უფრო გლობალურთან ერთად, ურთიერთობების გაცივებას, ადვილად გაფუჭებას განსაკუთრებით საყვედურობენ ძველები ახლებს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

_ მე არ მიყვარს და არ მჩვევია ძველ დროზე განსაკუთრებული ნოსტალგიით საუბარი. ყველა დროს, ეპოქა უფრო ხმამაღალი ნათქვამი მგონია, თავისი ურთიერთობები და საზომი აქვს. ყველა დროში უნდა იცხოვრო ისე, როგორც იგი ითხოვს და არც ერთი დრო არ ითხოვს უსინდისობას, ამორალურობას, უპასუხისმგებლობას. მაგრამ ვეთანხმები მათ, ვინც თვლის, რომ ურთიერთობები გაცივდა. უფრო სწორად, უპასუხისმგებლო გახდა. თუმცა, მათიც მესმის, ვინც ამბობს, რომ ეს სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ მოიტანა. რაც შეეხება მეგობრობას, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრის და მეგობრობის პრობლემა არასდროს მქონია, ვთვლი, რომ ყველასთან ვერ იმეგობრებ. ურთიერთობა, და კარგი ურთიერთობა, იქნებ ბევრთან გქონდეს, მაგრამ მეგობრობა სხვა სიამოვნებასთან ერთად, სხვა პასუხისმგებლობაცაა. ერთი სიტყვით, შინაგანი პატიოსნება ყველა დროში საჭიროა და ეს ადამიანის პიროვნული ფასეულობაა, ეს არ მიაქვს, ან მოაქვს დროს.

**_ და რა მოგწონთ ახალგაზრდების?**

_ ბევრი რამ. მათი მიზანსწრაფულობა, დამოკიდებულება საკუთარი მომავლისადმი. აქაც, როგორც ზემოთ, ხაზს ვუსვამ, რომ მეტ-ნაკლებობა ყველა თაობაშია. სხვათა შორის, მომწონს დღევანდელი მოდა. მთავარია, თავად იცოდეს სწორად ჩაცმა ადამიანმა. ამდენი თავისუფლება ჩემს ახალგაზრდობაში ნამდვილად არ იყო მოდურ ტენდენციებში. გემოვნება გემოვნებად რჩება. გემოვნებაზე არ დავობენ კი არა, ყველაზე დიდი სადავო საგანი მგონია მე.

**_ უნდა აღინიშნოს, რომ ასაკის მიუხედავად, ყოველთვის თანამედროვეობაზე ფეხაწყობილი გემოვნებით გამოირჩევით.**

_ დიდი მადლობა. ცხოვრებაშიც და ჩაცმულობაშიც ძალიან მიყვარდა და მიყვარს სისადავე. ამასთანავე, მიყვარს ღია ფერები. თუ გინდა ახალგაზრდულად გამოიყურებოდე, უნდა ჩაიცვა ღია ფერის სამოსი. ზომიერების დაცვით, ფერთა სწორი შეხამებით ეს სულაც არ ტოვებს "ზიზილ-პიპილობის" შეგრძნებას, პირიქით.

**_ ასაკმა ხელი ვერ დაგატყოთ, ენერგიული ქალბატონი ბრძანდებით...**

_ დიახ. მიჩვეული ვარ და მინდა დღესაც აქტიური ცხოვრებით ვიცხოვრო. ძალიან მიყვარს, როცა ვინმეს რამეში გამოვადგები. მიყვარს სტუმარი, მეზობლებთან, მეგობრებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა.

**_ ვინ არიან ის ადამიანები, ვინც განსაკუთრებული კვალი დატოვა თქვენს წარსულში და მოგყვებიან დღემდე?**

_ მე, ზოგადად, ადამიანები მიყვარს. ყველა მათგანმა, ვინც ჩემს ნაცნობ-მეგობრებში იყვნენ, თავისი წილი სიყვარული, პატივისცემა თუ გულისტკენა დამიტოვეს. ადამიანს გამარჯობას რომ ეტყვი, მართლა გამარჯვება უნდა უსურვო. მე არ მჩვევია გამარჯობა მოვალეობის მოსახდელად. თუ დააკვირდებით, ჩემი სალამი ყოველთვის სხვანაირია. არ ვიცი, რამდენად ატყობენ სხვები, მაგრამ მე შინაგანად ასე ვამბობ გამარჯობას, იმის გამარჯვების სურვილით, ვისაც ვესალმები.

მაცნე სამტრედიის



# ლიდერი საწარმო და საპატიო წოდება _ "მედიცინის სიამაყე"

ნათია ნაცვლიშვილი

***ეს საპატიო წოდება სამედიცინო დაწესებულებამ "შპს სამედიცინო ცენტრი რკინიგზა 1872" სულ ახლახან მიიღო. ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირმა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ამ ორგანიზაციის საქმიანობა ოქროს რეიტინგით შეაფასა. ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი _ ეს არის მასში მონაწილე ქვეყნების საორგანიზაციო კომიტეტების ინფორმაციულ-ანალიტიკური სტრუქტურული გაერთიანება, რომელიც ეწევა აქტიური ეკონომიკური საქმიანობის საწარმოების კომპლექსურ რანჟირებას.***

***ბიზნეს რეიტინგების კავშირი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ფულადი და სხვა სავალდებულო გადასახადების საფუძველზე ჩატარებული რანჟირების შედეგების თანახმად ორგანიზაციამ დაიმსახურა რეიტინგი ოქრო საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსური სამეურნეო საქმიანობის მიხედვით. "რკინიგზა 1872" ასევე შევიდა იმერეთის ტოპ-15 ლიდერ საწარმოს ნუსხაში.***



"გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი ღრმა პატივისცემა თქვენი ნაყოფიერი შრომის მიმართ და მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს ჯანდაცვის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. სამედიცინო მომსახურების ხარისხიანად გაწევაში თქვენმა საწარმომ მიაღწია მაღალ შედეგებს და დაიმსახურა საპატიო წოდება "მედიცინის სიამაყე", რაც თქვენს კონკურენტუნარიანობაზე, საიმედოობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს."_ ნათქვამია ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ გამოგზავნილ წერილში.

დაჯილდოებული ორგანიზაცია მიწვეულია ეკონომიკის ლიდერთა დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მონაწილე ქვეყნების ყველაზე წარმატებული კომპანიები. ღონისძიებები გაიმართება 23 ივნისს საქართველოში (თბილისი) და 23 აგვისტოს უკრაინაში (ლვოვი).

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში შპს "სამედიცინო ცენტრ რკინიგზა 1872" -ის დირექტორმა თამაზ ჟორდანიამ აღნიშნა: " 2011 წლის ოქტომბერში გაგვაუქმეს, შევიკრიბეთ ჩვენი ექიმები, ჯიუტად ვისხედით აქ და ყოველგვარ დამცირებას ვიტანდით. მერე ნელ-ნელა მოვიკრიბეთ ძალები, გავერთიანდით და დავიბრუნეთ ეს საავადმყოფო, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მეორე სართულზე განლაგდა კაბინეტები შესაბამისი ლაბორატორიებით. არც ერთი ექიმი არ დამიმატებია, აბსოლუტურად ყველა სპეციალისტი მყავს, მოქმედებს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა. ვემსახურებით რკინიგზელებს, 37 წლის განმავლობაში ამ საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვიყავი, ყველა რკინიგზელს და მათ ოჯახებს ვიცნობთ. ეს ჯილდო ამ ექიმების ჯილდოა. ერთადერთი საავადმყოფოა, რომელიც ვერ დაანგრია იმჟამინდელმა ხელისუფლებამ. ყველა ძველი კადრი აგრძელებს მუშაობას. 37 წელია, არავინ მომიხსნია, რკინიგზის საავადმყოფო იყო ერთ- ერთი უძლიერესი. ძალიან ბევრი ცნობილი ექიმი და მედდა ამ საავადმყოფოში გაიზარდა. აქაურობას არ მოვშორდები, ალბათ, ბოლომდე, უამრავი შეთავაზება მქონდა სხვადასხვა დროს, ჩემი შვილებიც და შვილიშვილებიც დედაქალაქში არიან... არასოდეს წარმომედგინა, ბიზნესი თუ გაერეოდა მედიცინაში, იცით, რა მინდა ვთქვა? ავადმყოფზე მოქმედებს ის ფაქტორი, ექიმი ექიმს რომ აძაგებს, ავადმყოფი თავისთან რომ მიიზიდოს. აგინებენ ერთმანეთს... იცით, გული რაზე მტკივა? ბევრი კარგი ექიმი სახლში რომ ზის. ეს ჯილდო მთელ სამედიცინო პერსონალს ეკუთვნის, ძირითადი ღერძი კი საფინანსო სამსახურია. ჩვენი მთავარი ბუღალტერია გია ცაგარეიშვილი, უნიჭიერესი ახალგაზრდა, მისი დიდი წვლილიცაა ამ ჩვენს გამარჯვებაში."




# ერთ კარგ სიმღერად ნამღერი ფრაზებით მოტანილი სიმართლე

თეა ბაბუნაშვილი

ისევე როგორც დასაწყისი, დასასრული და მთელი კომპოზიცია განსხვავებული იყო იმ სპექტაკლებისა და ინსცენირებებისგან, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე აქამდე რომ დადგმულა. რა თქმა უნდა, გვინახავს უკეთესიც და უარესიც, მაგრამ იმ სპექტაკლის ნიშა ფრაზებით ნათქვამი წუთისოფლის მოზაიკა გახლდათ. სხვა სანახაობებისგან, შინაარსობრივი დატვირთვის გარდა, ჩანაფიქრიც გამოარჩევდა. მაყურებლისთვის ერთგვარ ინტრიგად იქცა, რომ სპექტაკლი არა პროფესიონალი მსახიობებით დადგმული პიესა, არამედ ერთი სამტრედიული ანსამბლის საანგარიშო კონცერტი აღმოჩნდა.



უკვე წლებია, ქალთა ვოკალური ანსამბლი "ათინათი" სამტრედიელ და არა მხოლოდ სამტრედიელ მსმენელს საკუთარ ხელწერას უტოვებს. სპეციალისტების ქება, მსმენელის სიყვარულზე რომ არაფერი ვთქვათ, "ათინათს" არასდროს მოჰკლებია. ამჯერად კი ერთი შეხედვით უბრალო სათქმელი განსხვავებულ რეგისტრში თქვეს. ნათელა ჯიმშელეიშვილი, ციალა სტურუა, ლია არუსია, მაყვალა ტკაცირია, მერი ტკაცირია, ნანა ჭეიშვილი, ჟუჟუნა ნიკურაძე, ელენე ლიპარტელიანი, დალი დავითაია და მათი ხელმძღვანელი, მარინა ვარდანიძე წლების წინ შეიკრიბნენ და მას მერე ალამაზებს სცენას "ათინათი".

ფრაზებით მოყოლილი ამბავი _ ასეთია რეჟისორის მოკლე შეფასება ყოველდღიურობიდან აღებული, მაგრამ განსხვავებულად ნათქვამი, დანახული და გადმოცემული ამბისა.

აღმოჩნდა, რომ სათქმელი ჩანაფიქრის შესატყვისად ყველამ ვერ აღიქვა. ეს ვინ განათლების ნაკლებობას, ვინ კი მაყურებლის უყურადღებობას დააბრალა. ასე იყო თუ ისე, სამტრედიულ სცენაზე განსხვავებული რამ მოხდა, საინტერესოდ ითქვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან აღებული ყველა ფრაზა, ეროვნულ ფოლკლორში მოძიებული და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ სიმღერით მიტანილი მაყურებლამდე. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, "ათინათმა" ერთ კარგ სიმღერად იმღერა ფრაზებში ჩატეული ყოველდღიურობა.

სიკეთისა და ბოროტების, ჭორ-მართლის, დაცალკავებისა და ერთიანობის, სიყვარულ-სიძულვილის შესიტყვება ბგერის, ფერის, მოძრაობის, სიტყვის, მელოდიის ერთიანობით ისეთ კომპოზიციად

შეიკრა, კიდევ ერთხელ ნახვის სურვილს რომ გაგიჩენს ჩასაღრმავებლად.

სცენარი ლალი თადუმაძეს ეკუთვნის. პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი დატვირთვის პარალელურად, "წუთისოფლის მოზაიკა" მისი პირველი ნამუშევარი არ გახლავთ. "წუთისოფელი ასეა... მარადიული ბრძოლაა თეთრსა და შავს, სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს შორის. ფოლკლორი ხალხური სიბრძნეა, ამიტომაც მასში განვითარებულია კაცობრიობის ოდინდელი ყოფა თავისი მარადიული ღირებულებებით. სცენაზე ისმოდა მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გურამ დოჩანაშვილისა და კიდევ ბევრი სხვა მწერლის ნააზრევი. გაცოცხლდა აწ გარდაცვლილი სამტრედიელი პოეტის, ჯემალ ტაბიძის ლექსები. კომპოზიტორმა მზია ჯინჭველაშვილმა მის ერთ-ერთ ლექსზე "ცხელი ცრემლი", სიმღერაც კი შექმნა და თავად შეასრულა. სამწუხაროდ, ხაზი უნდა გავუსვა, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი ზედაპირულად, ანალიზის გარეშე აღიქვამს ფაქტებსა და მოვლენებს."_ აღნიშნავს ლალი თადუმაძე.

სპექტაკლზე მუშაობის პროცესი, როგორც მისი რეჟისორი ვეფხია ნადირაძე ამბობს, მარტივი არ ყოფილა: "სხვაა იმუშაო მსახიობთან, მაგრამ განსხვავებული და ორმაგად რთული აღმოჩნდა ამ ქალბატონებთან ურთიერთობა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ პროფესიონალ მსახიობსაც კი გაუჭირდებოდა ფრაზებით აწყობილი სათქმელის მაყურებლამდე მიტანა. ჯერ თავად მსახიობმა უნდა გაითავისოს რას თამაშობს და მერე გადასცეს იგი მხატვრულად დარბაზს. ისინი კი, ვინც ამჯერად სცენაზე იდგნენ, პროფესიონალი მსახიობები არ არიან, თუმცა არც სცენაა მათთვის უცხო. არაერთ სპექტაკლშიც უთამაშნიათ, მაგრამ ამჯერად, რადგან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანს, სიმღერას ეხებოდა საქმე, განსაკუთრებით პრეტენზიულები და მომთხოვნები იყვნენ. ამან მოგვცა ის შედეგი, რომ გამიტაცა მათთან მუშაობამ. არც ერთი სპექტაკლის დადგმისას არ ვყოფილვარ ასეთი კმაყოფილი. ამასთანავე, ეს ფორმა ერთგვარი ექსპერიმენტიც კი გახდა, ფაქტობრივად, ეს იყო კონცერტი სპექტაკლად."



მაყურებლისთვის სათქმელის მხოლოდ ფრაზებით აღქმა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მონოლოგითა და დიალოგით. ეს, ბუნებრივია, ასე იქნებოდა და წინასწარვე იცოდნენ კიდეც. ამიტომ რეჟისორი შეეცადა, შედარებით მარტივად, უფრო სწორად, სადად და შედარებით უბრალოდ ეთქვა ის, რისი თქმაც სურდა. ეს გახლდათ სანახაობა, სადაც ყველა შტრიხს თავისი დატვირთვა ჰქონდა და ისეთი დატვირთვა, რომ არც ერთი ნიუანსის უყურადღებოდ დატოვება, კოსტიუმების, მხატვრობის, დეკორაციის გათვალისწინება, მთლიანი კომპოზიციის ბოლომდე გასათავისებლად აუცილებლობას წარმოადგენდა.



პერსონაჟები სახასიათო ხელწერით ამ სპექტაკლის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა გახლდათ.

მოთხოვნა მისი კვლავ ნახვისა მაყურებლიდან ისევ მოდის. ეს კი, მოგეხსენებათ, რეჟისორის, სცენარისტის და "ათინათის" მსახიობებად ქცეული მთელი შემადგენლობის ერთობლივი გამარჯვებაა. სპექტაკლად დადგმულმა საანგარიშო კონცერტმა, სამტრედიულ სცენას, ისევე როგორც ანსამბლ "ათინათს" განსაკუთრებულ ინდივიდუალურობა შესძინა.



# „სიყვარული არა სადა დავარდების"

**ნათია ნაცვლიშვილი**

***იმ კედლებში ვართ, სადაც თაროზე მივიწყებული წიგნივით მიყრია მტვერი ახალგაზრდულ წლებს. სადაც სიბერის დღეებს ძველი მოგონებებით უმკლავდებიან... ზოგი პედაგოგი იყო და ასაკი ისე შემოეპარა, ოჯახი ვერ შექმნა, ზოგიერთს შვილებიც ჰყავს, შვილიშვილებიც და მაინც ოჯახს გარეთ ატარებს სიბერის წლებს.***

***მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის ბინადარ მოხუცებს ამჯერადაც აუკიაფდათ თვალზე მადლიერების ცრემლი. ეს იმიტომ, რომ ბაშის საჯარო სკოლის უფროსკლასელები სამოქალაქო აქტივობის ფარგლებში ეწვივნენ დაწესებულებას. მოსწავლეებიც აცრემლდნენ, პედაგოგებიც და დირექტორიც. ეს მათი პირველი სტუმრობა იყო სათნოების სახლში და ემოციები ვერ დაფარეს.***

ღონისძიების ორგანიზატორები არიან სამოქალაქო განათლების პედაგოგები ციალა ჭაფოძე (იგი სამოქალაქო განათლების კლუბის მეურვეც არის) და მაია ჩიქოვანი. მოსწავლეებმა მოხუცებს ტკბილეული მიუტანეს და საგანგებოდ მომზადებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით მათი განწყობა აამაღლეს. ''გვინდოდა, ჩვენი მოკრძალებული ღონისძიებით გაზაფხულის ერთი დღე გაგველამაზებინა სათნო მოხუცებისათვის, რომელთაც საზოგადოების მზრუნველობა სჭირდებათ''. _ გვითხრა სკოლის დირექტორმა, ციცინო ხაბალაშვილმა.



მაია ჩიქოვანი: ''ბაშის საჯარო სკოლა მომავლის თაობის პროექტშია გაერთიანებული, ჩვენს სამოქალაქო კლუბს ეწოდება ''გენდერები'', გვსურს ჩვენი სტუმრობით ამ ადამიანებს გავულამაზოთ ერთი ჩვეულებრივი დღე, ცხოვრება... შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ ეს. ამ სახლში პირველად ვარ და უდიდესი ემოციის ქვეშ ვიმყოფები, აქ არაჩვეულებრივი სისუფთავეა, კარგად მოვლილები არიან, მაგრამ მათ აკლიათ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ყოფნა, ყველას სიბერე გველოდება და აუცილებელია გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ ერთმანეთს.''



მოსწავლეებს მიესალმა სათნოების სახლის დირექტორი, მღვდელი შიო (ჭაფოძე) და აღნიშნა: ''გისურვებთ ბედნიერ, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას, ადამიანი და სამყარო სიყვარულით არიან შექმნილი. ამ სიყვარულს სჭირდება გავრცელება, ამ აზრს ალტერნატივა არა აქვს. შეგახსენებთ სიტყვებს პავლე მოციქულის ეპისტოლედან ''სიყვარული არა სადა დავარდების''. უწმინდესმა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ სამტრედიაში არსებობს მართლმადიდებლური სკოლა და სათნოების სახლიო. ამ სათნოების სახლს სჭირდება გაფრთხილება, ეს ჩვენი, ყველას მოვალეობაა. მადლობა თქვენ, მშვიდობა და სიკეთე მოგმადლოთ, მარხვის სინანული და აღდგომის სიხარული მოგანიჭოთ ღმერთმა, დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ...''



# ხარებას გილოცავთ!

ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია ხარება. (უძრავი, ძველი სტილით 25 მარტს აღინიშნება).



ხარების (ლუკა, 28-30) მიხედვით გაბრიელ მთავარანგელოზს უხარებია ყოლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლისათვის, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა.

ხარება ქრისტოლოგიაში კაცობრიობის ხსნის დასაბამად, საუკუნეებით დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებადაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ხარების დღესასწაული ისეა შერჩეული, რომ ხარებიდან შობამდე 9 თვეა გასული.

7 აპრილს ეკლესია აღნიშნავს ხარებას უფროსად ყოვლად წმინდისა დედოფლისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

ამ დღეს ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება სრულდება.

გილოცავთ!

**ლევან გაბიჩვაძე**

# ''ჯვარის-გორა''

...სადაც რომ ვცხოვრობ, ჯვარის-გორას სახელს ატარებს,
ამ კუთხეკუნჭულს ბებრებიცა-ჰყვანს და ჰზრდის პატარებს,
... ''ჰმრავლობენ რეგვენნი'', ალალთაც ნახავ, _ ''ნნაკრად'', სატანებს''...
''ისე თუ ასე'', _ როგორც არი... _ დღედმ მოატანეს.'' _
ჩემთვის ეს ''გორა'', _ ბავშვობის ''ჰხემად'' ბევრ რრამეს ნიშნავს,
... ''სხვები კი მხოლოდ სახლობენ-რრა'', _ აღებენ ჭიშკარს...'' _
გარდასულთ ჰკვალად: _ ''დათიკოს'', თუ ''უშანგის _ მიშას''
რამეთუ ''ყოფითს'', _ ''შთამომავალი'' ხსოვნად არსთიშავს''.
აგრეა, რადგან ''საწუთროის'' კანონი _ წესი'' რომ
ძლიერებდეს ადამთა მოდგმადმ... ''სიცოცხლის მყესი'';
... აქამსცდა გაჩნდი'', ''რამეთუ მმეთქმის, ''სიკეთის მთესი'', _
''რომ აქაც ძალობს'' ბოროტების ძირი თუ ფესვი?!
''აფსუს'', რომ ღირს-ვჰყავ კალმის მმოსმის, უბირი შუკა''
ბანძ-გარემოცვადმ, _ რეგვენთა ქცევა, სხვათმსც გამეშუქა:
... რომ შემოსასვლელის, _ ჩემს-წინ მდებარე ''პაწია'' ადგილს''
ვერ-ვეიგუებდი ვინმეს საკუთრად, _ შემღობვის წადილს;
... უმალვე ვვიმხარ ''ყმაწვილ-მოზარდნნი'', ''ულირსნ თუ ღირსი,''...
რეგვენებს ''ეზოდ'' არ მივართვი''! _ ვქმენ საკადრისი, _
მმართ ''ჯვარის-გორა'' თავისია, _ ანუ არრვვისი,
... საერთო: _ წილად ღვთიურია! კერძო: _ ავვ-გზისსი...

**ანზორ ზმანება**

**ახალი წიგნი**

# ''მე საუკუნე ხანდაზმული გვერდით მომყვება''

წლების უკან მორიდებით შემოაღო რედაქციის კარი, მას შემდეგ...

ბატონ დავით ჩირგაძეს, მის ნააზრევს კარგად იცნობს ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველი და განა მარტო ამ გაზეთის? იგი სისტემატიურად იბეჭდება ქუთაისში, ხონში, ფოთსა და თბილისში გამომავალ პერიოდულ გამოცემებში.

სისადავე, სილამაზის, სიმშვენიერის მისეული აღქმა და ქართული სიტყვისადმი, მწერლობისადმი თაყვანისცემა იკითხება მისი ნააზრევიდან.

მოკრძალებული, თუმცა საინტერესო, ენაწყლიანი მოსაუბრეა, არცთუ ხშირად შემოგვივლის რედაქციაში და ვიცით, საინტერესო თემებზე საინტერესოდვე რომ წარმართავს საუბარს.

პირველი კრებული 2004 წელს გამოსცა. ''ქრისტეს გზით'' ასე დაასათაურა წიგნი.

მერე დრო გავიდა, ბევრი რამ გადაფასდა. სიტყვა უფრო ძარღვიანი, უფრო დაღვინებული გახდა და...

იდეაც (არცთუ უსაფუძვლოდ) გაჩნდა ახალი წიგნის დაბადებისა.

გასული წელი ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ''ვეფხისტყაოსნის'' წლად გამოაცხადა და იგი გენიალური შოთა რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა.

''სულისმიერი ნაბიჯები'' ჰქვია მოზრდილ წიგნს ავტორივით სისადავით რომ იწონებს თავს (დაიბეჭდა თბილისში, შპს ''პეტიტში'').

''სულისმიერ ნაბიჯებში'' ავტორის სულიერება, მისი მისწრაფებები, იმედები და ოცნებები იკითხება, კიდევ ბევრი რამის სწავლას, ახლებურად გააზრებას შესძლებთ უთუოდ, თუ ჩვენს კეთილ რჩევას გაითვალისწინებთ და წიგნს წაიკითხავთ, რომლითაც უკვე დაინტერესდა საზოგადოების ინტელექტუალური ფენა.

ვულოცავთ ჩვენს ერთგულ მეგობარს დავით ჩირგაძეს კიდევ ერთ შემოქმედებით გამარჯვებას და ახალი კრებულიდან რამდენიმე ლექსს გთავაზობთ, იმ იმედით, რომ დანარჩენს თავად გაეცნობით.

**ლევან გაბიჩვაძე**

**შრიალებს ბაღში ხე დანაჩრდილი**

გახედე სივრცეს უკიდეგანოს,
არა ჩანს ზღვარი,
მზე სიყვარულის ზღაპარს გვიგალობს,
იწვის ცისკარი.
ჩემია თითქოს მთელი სამყარო,
ამღერდა ქნარი.
სულო ამაღლდი, არ დაიმალო,
შენია ხანი.
გაზაფხულიდან მოდის ეს წყარო
და განა წყნარი,
ო, ეს სიტურფე რამ სათაყვანო,
ვიცანი ცანი.
აბობოქრებულ ზღვას ჰგავს სურვილი,
ზღვა არის წყნარი.
მთვარე სარკეში ზის მოსირმული,
აება თვალი.
და ისევ განცდა გულთან შეყრილი
შიშს ბადებს მაინც,
შრიალებს ბაღში ხე დანაჩრდილი,
აკრძალეს რაიც.

**დიდგორის ველზე**

თქვენ გესმით ჩემი, მე მესმის თქვენი,
თქვენ ხედავთ სიტყვებს მომსკდარს ბაგეზე.
თქვენ ხედავთ ცრემლებს, _ გული ნაწყენი.
ველარ ისვენებს და სულს აქეზებს.
დრო საით გარბის, ვის ხელში ბორგავს?
მე მხოლოდ დროსთან მიწევს კამათი,
ლაზარესავით სურვილებს ბორკავს
ჩემთვის მუდამჟამ ეს ათინათი.
მოცურავს ტალღა, ტალღის გარშემო
ნაპირს ასკდება ახლა წარსული,
მსურს, წრფელი გული რომ შევაშველო
დიდგორის ველზე აბჯარასხმული.

**ო, ბედი ბედი!**

***ზვიად გამსახურდიას ხსოვნას***

ვიგონებ ახლა, როგორ ქუხდა შენი სახელი,
ღვთის სადიდებლად შენი სულის წმინდა მიზანი,
ღამენათევი და უძილო ფიქრით ნაშენი,
ქართლის სიფხიზლე, სურნელება მიმოზისანი.
ვიგონებ თბილისს, ფრთაგაშლილს და მზემოკიდებულს,
როს მღელვარება ხალხის გულში აღარ ცხრებოდა,
გაზაფხულივით ღრმა ძილიდან გამოფხიზლებულს,
შენი ხმა ცისკრის ვარსკვლავივით წინ უძღვებოდა.
ო, გზები, გზები, ხერგილები, ციცაბო გზების.
გოლგოთას გზაზე ყვავილები განა ჭკნებოდა,
სადაც სურვილმა მიიძინა ბრმა განდიდების,
იქ გაზაფხულის სურნელება იბადებოდა.
ო, ბედი, ბედი, აქ ღიმილი მეხება გულზე,
საკვირველია ყოველივე მოსეს კვერთხიდან,
მით საკვირველი ჩნდება, მოსე ხონელის ხნულზე
პურის მარცვალი ჩაგდებული ხანთა მეფიდან.
ო, ბედი, ბედი, ისევ ბედი, ბედთან კამათი,
ისევ ღიმილით ვეგებები ფიქრს შემოჩენილს.
იძერწებოდა შენთვის მუდამ ბრმა, მუხანათი,
რომ დაეკარგა სურნელება, ყვავილს მოცელილს.
მჭმუნვარე ცის ქვეშ მაგონდება ნათელი ისევ,
სადაც ხალხის ხმა ზარის გუგუნს, ხალისს არგუნებს,
ზვიადი ისევ მეუბნება _ დარდს ნუ დაისევ,
ვინაც უკვდავყო სიყვარული, მზეს დაიბრუნებს.

**მომენატრება**

მომენატრება და გაზაფხულს ისევ შევხვდები,
ისევ გამიღებს გულის კარებს ნანატრი დილა,
და ათასი წლის გაიღვიძებს ჩემში ფესვები
და სიამაყით იტყვის ჩემზე _ ის არ დაღლილა!
მე საუკუნე ხანდაზმული გვერდით მომყვება,
ის არასოდეს გულისწადილს მე არ მიმალავს,
თუ წავალ, ვიცი, უსათუოდ თან გამომყვება
და ისიც ვიცი, მოვკვდები და კვლავ დამიფარავს.

**დავით ჩირგაძე**

# შენს სახელს დავიწყება არ უწერია

## გახსენება



დალი ახობაძე სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში დაიბადა. დაამთავრა თბილისის 22-ე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე. მიზანდასახულმა, ნიჭიერმა ქალიშვილმა თავიდანვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დალი ასპირანტურაში ჩაირიცხა. იგი გატაცებით მუშაობდა საკვალიფიკაციო თემაზე, რომელიც 1979 წელს დაიცვა. იმავე წლიდან იგი მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი გახდა. წლების მანძილზე იყო ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

განსაკუთრებული ნიჭი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, საქმიანობის ყველა ეტაპზე ადამიანებზე, სტუდენტებზე ზრუნვის მომადლებული უნარი. ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, აყალიბებდა მის პიროვნების მომხიბვლელობას.

1996 წელს დალი ახობაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლის დამდეგს იგი აირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. გახდა სოროსის ფონდის გრანტის მფლობელი.

დალი ახობაძემ შეძლო თავისი ღირსეული სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში. 1997 წლის მარტში, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ერთხმად აირჩიეს მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის პროფესორად.

იმავე წლის 28 მარტს გაჩერდა მისი გულის ფეთქვა და ყველანი სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით. ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, შენ ჩვენი სულის ნაწილი იყავი და შენმა უდროოდ წასვლამ ისიც ამოგვაცალა.

მიმდინარე წლის 28 მარტს 20 წელი სრულდება, რაც ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. დაგვიტოვე უდიდესი წუხილი და მწარე მოგონებები. მე ხომ თქვენს ოჯახში აღვიზარდე _ დიდებული ბიძის, შალვა ახობაძისა და მამიდა ელენეს (ოლია მელქაძის) ოჯახში, გურამის, ბელასა და შენს გვერდით. რა დამავიწყებს, რაოდენ დიდ სითბოსა და სიყვარულს იჩენდით ჩემს მიმართ. რამდენ რამეს ვსწავლობდი თქვენგან. მახსოვს, როგორ მიხაროდა შენი უნივერსიტეტის მეგობრები "დალის ორეულს" რომ მეძახდნენ. რამდენი ღამე გაგვითენებია საუბრებსა და მსჯელობებში. თქვენს სტუმართმოყვარე გულუხვ ოჯახს არაერთხელ გაუწვდია დახმარების ხელი ნათესავებისა და ახლობლებისათვის. ამ ოჯახში ათიოდე ახალგაზრდა აღიზარდა ჩემსავით და დაადგა ცხოვრების ღირსეულ გზას.

ძნელია, წარსულში ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორიც იყო დალი ახობაძე. ასეთი კოლორიტული პიროვნებები იშვიათად იბადებიან, მაგრამ ღრმა კვალს ტოვებენ არა მარტო ნათესავებსა და მეგობრებში, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ ქიმიის მეცნიერებათა სფეროში დაჰკარგა ისეთი უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი, როგორიც იყო დალი შალვას ასული ახობაძე, ადამიანი, ხშირად, დროს უსწრებდა.

მადლობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ბატონ როინ მეტრეველს, კოლეგებსა და მეგობრებს, ქალბატონებს: რუსუდან ტყეშელაშვილს, ლიანა ნაკაშიძეს, ნელი სიდამონიძეს, ლილი ჯალიაშვილს, ბატონებს: მიხეილ გვერდწითელს, გიორგი ჩაჩავას, შოთა სიდამონიძესა და მრავალ სხვას, მის აღზრდილ სტუდენტებს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დალი ახობაძის მოგონებისა და არ დავიწყებისათვის.

**შენი ბიძაშვილი აჯა მელქაძე**

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ღანირში

**თამაზ (თოშა) გაბელაია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ღანირში

**თამაზ (თოშა) გაბელაია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

## გივი მუქერიას გახსენება

ორმოცი დღე გავიდა გივი მასწავლებლის გარდაცვალებიდან. ბატონი გივი მუქერია დამსახურებული პედაგოგი, ერუდირებული, კომუნიკაბელური, საოცრად პასუხისმგებლიანი ადამიანი იყო, კაცურკაცობით რომ იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. მის სახელს ყოველთვის ამშვენებდა ნათელი აზროვნება და ჭეშმარიტებისადმი ერთგულება, უშრეტი ენერგია, დაუცხრომელი ძიება, ნიჭიერება.



გივი მუქერია დაიბადა 1935 წელს, ილორში. დაამთავრა რკინიგზის ვაჟთა სკოლა, შემდეგ ბაქოს შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, 1976 წელს ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. წლების განმავლობაში ასწავლიდა სამტრედიის № 13, № 14 და ილორის საჯარო სკოლებში. მუშაობდა აგრეთვე, დოსააფის სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლად. იყო საზოგადოება "ცოდნის" წევრი. დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

ბატონი გივი მასწავლებლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

**გულიკო გოგიტიძე**
**პედაგოგი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი**

---

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობს ვალერიანე ფოცხვერიას დეიდაშვილის

**გარსევან ცინცაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ვალერიანე ფოცხვერიას დეიდაშვილის

**გარსევან ცინცაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობს ზაქრო კაჭახიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

---

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ზაქრო კაჭახიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

---

"წითელი ჯვრის" სამტრედიის ფილიალი თანაუგრძნობს პაპავების ოჯახს ქალბატონი

**ეთერ პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლევან პაპავას ოჯახს ქალბატონი

**ეთერ პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

"საუნჯე"

# პოეტები ისევ შემოდიან რედაქციაში

**ლევან გაბეჩავა**



"ჟურნალ დროშის რედაქციაში თავს იყრიდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, გაუკვალავი შემოქმედებითი გზითა და ხმით მწერლობაში შემოსული ახალგაზრდობა.

იყო აზრიანი კამათი, გულალალი საუბარი ახლებურ პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მომავალზე.

იმ დღესაც რედაქციაში შეიარეს ქართული პოეტური უღლის გამწევმა ლაბა-ხარებმა, მძაფრი ფიქრისა და "გულიდან ხორცად ამონატანი" ლექსის მეხრეებმა და გუთნისდედებმა.

**ტიციან ტაბიძემ** არც იმ დღეს დაივიწყა თავისი ჩვეულება (მას უყვარდა სამახსოვრო სურათები) და ასე ნაინანატრად თავშეყრილ მეგობრებს თხოვა სურათი გადავიღოთო.

...

"დროშა" დატოვეს და ჟვანიას ატელიეში გაემართნენ...

ეს სურათიც მაშინაა გადაღებული, მასზე გამოსახულნი არიან (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში _ ნიკოლო მიწიშვილი, თამარ იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და მისი მეუღლე, მეორე რიგში, ვალერიან გაფრინდაშვილი, ეფემია ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ნინო ტაბიძე, ალი არსენიშვილი, მესამე რიგში, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე.

სურათი ინახება პაოლო იაშვილის არქივში, მოგვაწოდა მისმა ოჯახმა". ვკითხულობთ 1962 წლის ჟურნალ "დროშას" ერთ-ერთ ნომერში.

სურათი 1926 წელს ყოფილა გადაღებული.

ტიციან ტაბიძის ერთ ცნობილ ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.



**რია-რია**

მივალ მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.
ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი.
ოღონდ ლამაზო არ დამიღონდე,
მახსენე კაცად როცა დაგჭირდე.
ათას სალამურს გააქვს გუგუნი,
ერთად ამღერდნენ გურიის მთები,
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.
ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას.

2 აპრილს ტიციან ტაბიძის დაბადების დღეა (1895-1937 წ.წ.).

---

## დემურ ვეკუას გახსენება

ჩვენო საყვარელო დემურ, ერთი წელია, რაც დაგვტოვე და წახვედი. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ, უზომოდ მონატრებულები მოვდივართ შენს საფლავზე და შენ სურათს და ცივ ქვას ვეფერებით.



შვილო დემურ, მე ხომ ცოცხლად მომკალი და მიმატოვე, რას მომასწარი საოცდავი დედაშენი, რას ერჩოდი მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, დებს და მამიდას, ასევე, შენზე შეყვარებულ ადამიანებს! ისღა დაგვრჩენია სანუგეშოდ, მოვიდეთ შენს საფლავზე სანთლებითა და ყვავილებით და ვთხოვოთ უფალს, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა ნათელში გამყოფოს და არ მოაკლოს სინათლე შენს კეთილ გულს.

**შენი ოჯახი**

# აქტიური სპორტი ყველა სკოლას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას "აქტიური სპორტი ყველა სკოლას" გამოეხმაურა სამტრედიის № 2 საჯარო სკოლა (დირექტორი ქალბატონი თეა კარტოზია, ჭადრაკის პედაგოგი გულიკო გოგიტიძე, სპორტის მასწავლებელი უშანგი ნიკოლეიშვილი).



მეორე საჯარო სკოლაში უკვე ორი წელია ფუნქციონირებს მსოფლიო ჩემპიონის ჭადრაკში გარი კასპაროვის პროექტით "ჭადრაკი სკოლაში" – ელექტრონული ვერსია. ნორჩი მოჭადრაკეები, მეორე კლასის (კლასის ხელმძღვანელი ეთერ ადეიშვილი) და მესამე კლასის (კლასის ხელმძღვანელი ნათელა ჯიმშელეიშვილი) დიდი ინტერესით ეუფლებიან ამ ბრძენ, სამეფო თამაშს. ბავშვები ჩაბმულნი არიან სარაიონო და გასვლით ტურნირებში, რითაც იმაღლებენ კვალიფიკაციას და აქვთ რიგი წარმატებები. მათ მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირში.

17 მარტს ჩატარდა მეორე საჯარო სკოლის შიდა ტურნირი ჭადრაკსა და შაშში დევიზით "აქტიური სპორტი ყველა სკოლას". გაიმართა უშეღავათო ბრძოლა ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთა შორის. თამაშში ჩაერთვნენ სკოლის დირექტორი ქალბატონი თეა კარტოზია, პედაგოგი ვიოლეტა ვეკუა, სკოლის მანდატური მანანა ხუნდაძე, რომელიც კოორდინირებას უწევდა აღნიშნულ პროექტს.

***გულიკო გოგიტიძე***
***პედაგოგი. ფაზისის აკადემიის წევრი***






გაზეთ "სამტრედიის მაცნეს", მის ნიჭიერ შემოქმედ კოლექტივს, ჭეშმარიტ ჟურნალისტებს გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს და გისურვებთ კვლავაც აღმავლობით გეღვაწოთ თითოეული სამტრედიელის და არა მარტო სამტრედიელის გასახარად. დაე, თქვენი დაუოკებელი სწრაფვა ჭეშმარიტების წარმოჩინებისა მუდამ თქვენი გამარჯვებით მთავრდებოდეს. თქვენ არა თუ უკან დახევის, შეჩერების უფლებასაც არ გაძლევთ წინა თაობათა მემკვიდრეობა და მათი ანდერძი "წინსვლა".

პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი და მეგობარი აკაკი რუხაძე

**სიტყვა**

დასაბამიდან, ათა-ბაბიდან, ჰო, სულ თავიდან ითქვა,
რომ არა ხმელი, რომ არა წყალი,
არა უკუნი, არა ნათელი,
პირველად იყო სიტყვა.
სიტყვა მჭრელი და სიტყვა მებრძოლი, მაკურნებელი სიტყვა,
შემოქმედი და მადიდებელი,
მშენებელი და დამანგრეველი,
ყოვლის მომცველი სიტყვა.
ასე იყო და ასე იქნება, საპირისპირო ვინ თქვა?
სიტყვაა ცეკვა, ლექსი, სიმღერა,
ტილო, ტაძარი ან სხვა ქმნილება,
ყველაფერია სიტყვა.
სიტყვაა – კაცი, სიტყვაა – ქალი, ღმერთი, ციური ხილვა.
წინაპარი და შთამომავლობა,
ენა, მამული, სარწმუნოება,
სალოცავია სიტყვა.
მოსაფრთხილია, მოსაზომია, არ მოიწიო რისხვა,
თქვი? – შეასრულე, აღუთქვი? – მიეც,
არ უღალატო, რომ შემდეგ შენზეც
აუგი არ თქვან სიტყვა.



მაცხოვრის შობის სახელობის წინამძღოლს, დეკანოზ ზაქარიას (მესხი) ქრისტესმიერი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და სულის სიძლიერეს.

უფალმა დაგლოცოთ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი შეგეწიოთ!

***მრევლი***



60 წლის შესრულებას ვულოცავთ ბაჩუკი ფახურიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. უფალი ფარავდეს!

**უახლოესი მეგობრები**

## ვულოცავთ!

ღვაწლმოსილ პედაგოგს, ღირსების მედლის კავალერს, ჩვენს ძვირფას ადამიანს, ქალბატონ

**ვენერა კაჭახიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ კეთილისმსურველთა გასახარად.

**ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი**

**მარი თევზაძე-სანიკიძეს!**

ჩვენო, მარი, რომ იცოდე, როგორ გვიყვარხარ, როგორ ვამაყობთ შენით. დიდებული ოჯახის ტრადიციების კეთილად გამგრძელებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი გვეყოლე შენს საყვარელ ქმარ-შვილში, სახელოვანი მოჭადრაკე დედის, სოფიკო ტერელაძის ავტორიტეტი უფრო მაღალ მწვერვალებზე აგეტანოს!

***ბებიას მეგობრები***



**თეა ბაბუნაშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო თეა, გისურვებთ ოჯახურ ბედნიერებას, პროფესიულ წინსვლას. ერთგული მკითხველი შენს შემოქმედებით კალამს არც მომავალში მოჰკლებოდეს. იხარე და იბედნიერე საყვარელ ადამიანებთან ერთად!

**"სამტრედიის მაცნე"**





**ანანო გალდავას!**

ჩვენო ლამაზო, ჭკვიანო და კეთილო გოგონავ, გილოცავთ 17 წლის შესრულებას. გისურვებთ საუკეთესო მომავალს, მუდამ გაზაფხულს ეხეიმოს შენს სულსა და სხეულში, გაზაფხულივით მჩქეფარევ, მშვენიერო და უსაყვარლესო. ისეთი ქალი გაგვეზარდე, დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად ჩვენც გვეამაყოს შენით.

***დედიკოს მეგობრები***

**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 790 391839**

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა